კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

წლიური ანგარიში

2023

სარჩევი

შესავალი 3

- რაოდენობრივი მაჩვენებლები 2023 წლისათვის 4
- ფაკულტეტები და პროგრამების რაოდენობა 4
- აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით 5
- პერსონალის რაოდენობა 5

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 8

ხარისხის უზრუნველყოფა 13

სტუდენტური აქტივობები 15

უწყვეტი განათლება და კარიერული განვითარება 15

ბიბლიოთეკა 21

ინტერნაციონალიზაცია 24

ფაკულტეტების საქმიანობა 26

- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 26
- სამართლის ფაკულტეტი 29
- მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი 31
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი 34
- მედიცინის ფაკულტეტი 40

შესავალი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის ხელშემწყობი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუციაა, რომელიც ავითარებს ქართულ და მსოფლიო კულტურის ფასეულობებს თანამედროვე ცოდნაზე დაყრდნობით. აღნიშნული გეზი დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას აღზარდოს, როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი დემოკრატიული ღირებულებების მქონე ახალგაზრდა თაობა.

დოკუმენტში წარმოდგენილია 2023 წლის უნივერსიტეტის წლიური ანგარიში. ანგარიშგება უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიული ციკლის ფარგლებში განხორციელდა და მოიცავს სტრატეგიული განვითარების მიმართულებებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულების ანგარიშს.

რაოდენობრივი მაჩვენებლები 2023 წლისათვის

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 5 ფაკულტეტი:

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
- სამართლის ფაკულტეტი
- მედიცინის ფაკულტეტი
- მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი.

ფაკულტეტები და პროგრამების რაოდენობა

ფაკულტეტი	საფეხური	პროგრამების ჩამონათვალი	რაოდენობა
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	ფინანსები	9
		მენეჯმენტი	
		ტურიზმი	
		ბიზნესის ადმინისტრირება ინგლისურენოვანი	
		ინფორმაციული ტექნოლოგიები	
	მაგისტრატურა	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	
		საერთაშორისო მარკეტინგი	
		საერთაშორისო მარკეტინგი ინგლისურენოვანი	
	დოქტორანტურა	ბიზნესის ადმინისტრირება	
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	საერთაშორისო ურთიერთობები	7
		ჟურნალისტიკა	
	მაგისტრატურა	საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება	
		გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი	
		მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება	
	დოქტორანტურა	პოლიტიკის მეცნიერება	
		მასობრივი კომუნიკაცია	
სამართლის ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი	3
	მაგისტრატურა	სამართალი	
	დოქტორანტურა	სამართალი	
მედიცინის ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	ფარმაცია	6
	ერთსაფეხურიანი	მედიცინის ქართულენოვანი	
		მედიცინის ინგლისურენოვანი	
		სტომატოლოგიის ქართულენოვანი	
		სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი	
	რეზიდენტურა	თერაპიული სტომატოლოგია	
მევენახეობა - მეღვინეობის ფაკულტეტი	საბაკალავრო	ქართული მევენახეობა-მეღვინეობა	2
	მაგისტრატურა	ქართული მევენახეობა-მეღვინეობა	
			27

აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით

ფაკულტეტი	საფეხური	პროგრამების ჩამონათვალი	სტუდენტების რაოდენობა
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	ფინანსები	74
		მენეჯმენტი	161
		ტურიზმი	173
		ბიზნესის ადმინისტრირება ინგლისურენოვანი	23
	მაგისტრატურა	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	40
		საერთაშორისო მარკეტინგი	35
		საერთაშორისო მარკეტინგი ინგლისურენოვანი	10
	დოქტორანტურა	ბიზნესის ადმინისტრირება	40
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	საერთაშორისო ურთიერთობები	240
		ჟურნალისტიკა	114
	მაგისტრატურა	საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება	41
		გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი	12
		მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება	8
	დოქტორანტურა	პოლიტიკის მეცნიერებები	64
		მასობრივი კომუნიკაციები	20
სამართლის ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი	395
	მაგისტრატურა	სამართალი	95
	დოქტორანტურა	სამართალი	39
მედიცინის ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	ფარმაცია	43
	ერთსაფეხურიანი	მედიცინის ქართულენოვანი	57
		მედიცინის ინგლისურენოვანი	816
		სტომატოლოგიის ქართულენოვანი	319
		სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი	749
	რეზიდენტურა	თერაპიული სტომატოლოგია	-
მევენახეობა -მეღვინეობა	საბაკალავრო	მევენახეობა-მეღვინეობა	342
	მაგისტრატურა	მევენახეობა-მეღვინეობა	41

პერსონალის რაოდენობა

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის წევრების რაოდენობა შეადგენს 228-ს. მათ შორის არის;

39 პროფესორი;
137 ასოცირებული პროფესორი;
32 ასისტენტ პროფესორი;
20 ასისტენტი;

მათ შორის აფილირებული სულ 162

21 პროფესორი;
95 ასოცირებული პროფესორი;
26 ასისტენტ პროფესორი;

20 ასისტენტი

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით წინა წლებთან შედარებით გაზრდილია, როგორც აკადემიური, ისე აფილირებული პერსონალის რაოდენობა, რაც ილუსტრირებულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:

.





დღეისათვის უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებულია 231 თანამშრომელი. მათ შორის - 189 ადმინისტრაციულ პოზიციაზე და 42 - დამხმარე პოზიციაზე.

2023 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში სტაჟირება გაიარა ათმა პირმა, აქედან 6 იყო ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი. გამოსაცდელ ვადაში დადებითად შეფასდა 6 მათგანის საქმიანობა და უნივერსიტეტის მიერ მათთვის გაკეთდა სამუშაოს შეთავაზება.

პერსონალის მართვის სამსახურის მიერ 2023 წლის საანგარიშო პერიოდში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები

ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდა შემდეგი ტრეინინგები:

1. ციფრული მარკეტინგის ტექნიკები და ანალიზი, ბრენდის სტრატეგია, ციფრული პლატფორმები
2. ზრდასრულთა სწავლება და ტრენინგის მენეჯმენტი
3. პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი
4. სამუშაო საათების აღრიცხვა კანონმდებლობის შესაბამისად
5. ფინანსური ანალიზი (საფინანსო სამსახურის თანამშრომლისთვის)
6. უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა, კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით. ტესტირება სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტებისთვის და კოორდინატორებისთვის
7. საქმის წარმოება ISO-ს სტანდარტით
8. ტრენინგების მართვა
9. შშმ და სსსმ პირების ხელშეწყობა, საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა.
10. საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშების მომზადება.
11. საქმიანი ეტიკეტი, ღვინის ეტიკეტი
12. ეფექტური კომუნიკაცია, ემოციების და კონფლიქტების მართვა.
13. პერსონალის მოზიდვა და რეკრუტირების თანამედროვე მექანიზმები
14. შრომითი უსაფრთხოების ტრენინგი.
15. პერსონალის მოზიდვა შენარჩუნება, შეფასების თანამედროვე ტენდენციები
16. გუნდური შეჭიდულობის ღონისძიება (თიმ ბილდინგი)
17. ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების კურსი თანამშრომლებისათვის

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი საერთაშორისო მივლინენები

2023 წლის მაისი სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსი ვიზიტით იმყოფებოდა ლიბანში, საერთაშორისო სტუდენტთა რეკრუტირების და ადილობრივი აპლიკანტების მოზიდვის მიზნით

- 2023 წლის სექტემბერი: 1 თანამშრომელი ვიზიტით იმყოფებოდა დუბაიში სტუდენტთა რეკრუტირების საკითხებთან დაკავშირებით

2023 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალისათვის პროფესიული განვითარებისათვის შეთავაზებულ იქნა შემდეგი ტრეინინგები

1. „High Impact Learning“ – A Conceptual Educational Approach. რომელსაც უძღვებოდა ამსტერდამის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი კლარენს ვან დერ პუტი (Clanerce Van Der Putte). ტრენინგის ფარგლებში პროფესორმა აკადემიურ პერსონალს გააცნო პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მიდგომა, მასთან დაკავშირებულ გამოწვევები და უპირატესობები.

2. პანელური დისკუსია თემაზე - „სახალხო დაფინანსება (Crowdfunding) - ინოვაციური ფინანსური რესურსი დამწყები მეწარმეებისთვის“, რომელსაც უძღვებოდა გაეროს განვითარების პროგრამის ინოვაციების სპეციალისტი, ხათუნა სანდროშვილი, საქართველოს ქრაუდფანდინგის ასოციაციის ხელმძღვანელი მარიამ მიროტაძე და მონაწილეობითი მმართველობის ექსპერტი, რევაზ ბარბაქაძე.
3. ,,წარმატებული კვლევითი საგრანტო აპლიკაციის მომზადება და წარდგენა“, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსოალისათვის. ტრენინგს უძღვებოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი შორენა ქურდაძე, რომელმაც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის მაგალითზე განიხილა იქნა შემდეგი საკითხები:
    - როგორ ჩამოვაყალიბოთ კვლევის გეგმა საგრანტო პროექტად - ზოგადი მიმოხილვა.

- საპროექტო წინადადების ძირითადი სტრუქტურა (სამეცნიერო კვლევა; სამეცნიერო ეფექტიანობა; მკვლევართა გუნდი; გეგმა-გრაფიკი; ბიუჯეტი) და ქვეკრიტერიუმების განხილვა.
- საპროექტო წინადადების თითოეული კომპონენტის ძლიერი და სუსტი მხარეები ექსპერტების შეფასებების მიხედვით.
- კვლევაში ჩართული მხარეები და პარტნიორების მოძიების გზები და მეთოდები.
- რეაგირება საგრანტო აპლიკაციის შემფასებელი ექსპერტების კრიტიკაზე.

4. „თანამედროვე სწავლებისა და კვლევის მეთოდები ბიზნესისა და ეკონომიკის დარგში“ (Contemporary teaching and research methods in the field of business and economics), რომელიც ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის ჩაატარეს ესპანეთის ლა რიოხას უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორებმა - ნატალია მედრანო საეზიმ და ალბა გარსია მილონიმ. ვორქშოპი თემაზე.
5. ტრენინგი აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის Erasmus+ პროგრამის ფარგლებში თემაზე - "Theoritical Framework and Research Methodology“. ტრენინგს უძღვებოდა დასავლეთ ატიკას უნივერსიტეტის (საბერძნეთი) ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორი, ელენი ტურნა.

6. ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებში მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის.

7. ტრენინგი სამართლის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის თემაზე - კიბეროპერაციები და საქართველო: სიახლეები და თანამედროვე გამოწვევები"

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

2023 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტის საქმიანობა მიმდინარეობდა უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიხედვით. მომზადდა და ცვლილებები შევიდა სამეცნიერო საქმიანობის მართვის საუნივერსიტეტო დოკუმენტებში. 2023 წელს, ისევე როგორც წინა წლებში დეპარტამენტის პრიორიტეტული მიმართულება იყო სამეცნიერო პერსონალის აქტივობების ხელშეწყობა, სამეცნიერო პროდუქტიულობის ხარისხის ამაღლება, ინტერნაციონალიზაციის განვითარება. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით წლის განმავლობაში განხორციელდა სამეცნიერო მივლინებები, დაფინანსდა მაღალი დონის საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება და უცხოელი პარტნიორების ვიზიტები, ასევე ეროვნულ თუ საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილე მეცნიერები. წლის განმავლობაში ასევე გათვალისწინებული იყო Web of Science-ის და Scopus-ის სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისთვის მეცნიერების და დოქტორანტების პრემირება.
აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი ინტენსიურად მუშაობს ახალგაზრდა მეცნიერების და დოქტორანტების ინიციატივების ხელშეწყობის საკითხებზე. დაფინანსდა ახალგაზრდა მეცნიერების და დოქტორანტების სამეცნიერო მივლინებები, გამოქვეყნდა მათი სტატიები უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში. უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსში წარმოდგენილ პროექტებში სავალდებულოა ახალგაზრდა მეცნიერების და სტუდენტების ჩართულობა.

სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტმა 2023 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- მომზადდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-6 სტანდარტის თვითშეფასების ანგარიში და დანართები.
- განხორციელდა უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმების ანალიზი.
- მომზადდა უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების პროგრამის შექმნის ტექნიკური დავალება და დაწყებულ იქნა მუშაობა აღნიშნულ საკითხზე.
- მომზადდა ცვლილებების პროექტი უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

- დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობდა უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის ადმინისტრირება, ჟურნალის ვებ-საიტია: www.journal.ciu.edu.ge.
- მომზადდა ცვლილებების პროექტი უნივერსიტეტის სამეცნიერო პორტალის research.ciu.edu.ge შინაარსობრივი სტრუქტურის ცვლილებებთან დაკავშირებით.
- დამტკიცდა სამეცნიერო აქტივობების შეფასების და წახალისების წესი.
- უწყვეტად მიმდინარეობდა დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტების ფარგლებში აფილირებული აკადემიური პერსონალის ინიციატივების მხარდაჭერა, საკონსულტაციო საქმიანობა (სტატიების გამოქვეყნება, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო-საგრანტო აპლიკაციების მომზადება, მეცნიერების პოულარიზაცია. სხვ.) და უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტების მონიტორინგი.

სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობს მხარდაჭერა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში
სამეცნიერო მივლინებები:

2023 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მხარდაჭერით ჩვენი აკადემიური პერსონალის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საერთაშორისო ღონისძიებებში:

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრებმა, ვახტანგ მაისაიამ და ალიკა გუჩუამ მონაწილეობა მიიღეს 2023 წლის მაისში, პოლონეთის ქალაქ ტორუნში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში
2. **აკადემიური პერსონალის წევრი, ზაზა ცოტნიაშვილი** 2023 წლის 14-22 აპრილს მონაწილეობდა დეპოლის უნივერსიტეტის (ჩიკაგო, აშშ) გლობალური სწავლების გამოცდილების (Global Learning Experience) საერთაშორისო სასწავლო-კვლევით პროექტში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბატონი ზაზა ცოტნიაშვილი და მის კოლეგა ამერიკელ პროფესორ რიჩარდ ფარკა მუშაობენ სამეცნიერო-კვლევით პროექტზე - "უკრაინის ომის პროცესში საინფორმაციო ომის გამოხატულების სივრცე".
3. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ნანა ამირანაშვილი** მონაწილეობდა კრაკოვის იაგელონიის სახელობის უნივერსიტეტში კონფერენციაში „ახალი გზის ძიებაში. ყოფილი რუსეთის გავლენის სფეროს ქვეყნებში სუვერენიტეტის პროცესები". ქალბატონ ნანა ამირანაშვილის მოხსენების თემა იყო - „საქართველო-პოლონეთის სტრატეგიული პარტნიორობის საუკუნის წინანდელი საწყისები გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" პრიზმაში".
4. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები **ნინო ზარნაძე და თეა კასრაძე** მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა ბოსტონში 25-27 ივლისს, ჰარვარდის ფაკულტეტის კლუბში. ნინო ზარნაძის მოხსენების თემა იყო „Facilitatiing Business Success by Boosting Trust in Society", ხოლო პროფესორ **თეა კასრაძის** - „Promoting Financial Inclusion through Financial Education – Global Trands and Georgia".
5. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები **ეკა თხილავა** და ხათუნა კაჭარავა 28-31 ივლისს მონაწილეობდნენ იტალიაში, ქალაქ მონტეკატინი ტერნეში სამეცნიერო კონფერენციაში. ეკა თხილავას მოხსენების თემა: იყო „ქართული რეგიონული მედიასკოლების განვითარების პერსპექტივები ციფრული უთანასწორობის პირობებში", ხოლო **ხათუნა კაჭარავას** თემა - „პანდემიისა და პოსტპანდემიის გამოწვევები და პრობლემები უმაღლესი განათლების სისტემაში საქართველოში".
6. აფილირებული ასისტენტი გიორგი ფარეშიშვილი 14-21 ივლისს მონაწილეობდა არგენტინაში, ბუენოს აირესში პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის კონფერენციაში „პოლიტიკა ტრანსსასაზღვრო კრიზისის ჟამს: დაუცველობა და გამძლეობა". მისი მოხსენებას თემა: იყო „თანამედროვე პოლიტიკური პროცესების რელიგიური ფაქტორები".
7. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ნინო მინდიაშვილი** 2023 წლის 28-30 ივნისს მონაწილეობდა პარიზში ჰუმანიტარულ კვლევათა ქსელის ოცდამეერთე საერთაშორისო კონფერენციაში: „ახალი მიმართულებები ჰუმანიტარულ

მეცნიერებებში“ მისი მოხსენებას თემა იყო The History of the Georgian Queen and European Literary Reflections.

8. მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი გია ჩუბინიძე 2023 წლის 10-16 ივნისს მონაწილეობდა ესპანეთში 61-ე წლიური PTCOG (პროტონული თერაპიის კორპორაციული ჯგუფი) კონფერენციაზე: ნაწილაკებით ინტეგრირებული თერაპია და დამატებითი მოვლა. მისი მოხსენების თემა იყო Development and testing of nanoparticles for treatment of cancer cells by curie temperature controlled magnetic hyperthermia).

2023 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებულ იქნა შდემდეგი სტატიები:

1. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის **ციცინო ბუკიას** სტატია „Comparative Analysis of the Pre- and Post-soviet Caucasian Press at the Example of Georgian Newspapers: “Sakartvelo” (Georgia) (1918) and “Kviris Palitra” (2022) გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში Studies in Media and Communication. ჟურნალი არის scopus-ის ბაზაში ინდექსირებული.
2. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ალიკა გუჩუას სტატია გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში - Journal of Liberty and International Affairs დასაბეჭდად. ჟურნალი ინდექსირებულია სამეცნიერო ბაზებში: SCOPUS, EBSCO, DOAJ, CEEOL, SSOAR, ERIHPLUS, HeinOnline, ANVUR, Columbia International Affairs Online, ProQuest, UGC-CARE List Group II.

2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის/პუბლიკაციებისათვის დაფინანსება მიიღეს შემდეგმა დოქტორანტებმა:

1. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებმა **გიორგი ფარეშიშვილმა, ეკატერინე ჭალაგანიძემ და ლია ზამბახიძემ** 2 აპრილს, ლარნაკაში, კვიპროსში მონაწილეობა მიიიღეს საერთაშორისო მულტიდისციპლინურ სამეცნიერო კონფერენციაში „თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე“.
2. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა **სოფიკო ღვინიანიძემ** სამ თანაავტორთან ერთად გამოაქვეყნა სტატია Scopus-ის ბაზაში რეგისტრირებულ ჟურნალში Georgian medical News. სტატიის სათაურია: Drug policy in Georgia and Aspects of pharmaceutical Business Regulation.

2023 წლის განმავლობაში განხორციელებული უცხოელი მეცნიერების ვიზიტები

1. სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ქალბატონი **თამთა წირქვაძე** არის იუსტიციის სამინისტროს საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის -„ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციის პროგრამის“ ხელმძღვანელი. 8-13 მაისს განხორციელდა კვლევაში ჩართული უცხოელი მეცნიერის, წამების კომიტეტის ყოფილი წევრი,ს **ჯეიმს მაკმანუსის** ვიზიტი. ჯეიმს მაკმანუსმა საჯარო ლექცია წაიკითხა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

2023 წელს გაცემული მეცნიერების პრემიები

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის 11-მა წევრმა და ასევე ერთმა დოქტორანტმა 2023 წელს გამოაქვეყნა სტატიები ჟურნალებში, რომლებიც შესულია Scopus-ის ბაზაში. "აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შეფასების და წახალისების წესის" თანახმად მათ გამოეყოთ დანამატი - თითოეული სტატიისთვის 1000 ლარი. საერთო ჯამში პრემირების დაფინანსებამ შეადგინა 12000 ლარი.

2023 წლის განმავლობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისაგან ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსება მიიღო პროექტებმა შემდეგ მიმართულებებში:

1. ამერიკული ლიტერატურა ქართულ ლიტერატურათმცონეობაში

დაფინანსება: 27800 ლარი

1. საქართველოში ციფრული მმართველობის დანერგვის სამართლებრივ-ტექნოლოგიური გამოწვევები (ესტონეთის გამოცდილების მაგალითზე)

დაფინანსება: 30000 ლარი

2. საქართველოს მთიან რეგიონებში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ვაზისა და მისი თანმდევი კულტურების გაადგილების მოდელის შექმნა

დაფინანსება: 9300 ლარი

3. სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში

დაფინანსება: 30000 ლარი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი

2023 წელს გამოვიდა სოციალურ მეცნიერებებში სამეცნიერო ჟურნალის 2 ნომერი. ჟურნალში შესულია როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. ჟურნალის ყველა სტატიას გავლილი აქვს ორმაგი რეცენზირება. რეცენზენტები არიან ქართველი და უცხოელი გარე ექსპერტები.

2023 წლის განმავლობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მოიპოვა დაფინანსება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან შემდეგი პროექტებისათვის:

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

- ფორმალური ინსტიტუციური ცვლადების კავშირი სამეწარმეო ორიენტაციის დეტერმინანტებთან მცირე და საშუალო საწარმოების მაგალითზე: ფაქტორების კონტექსტუალიზაცია ქვეყნის და ორგანიზაციის მახასიათებლების გათვალისწინებით საერთაშორისო შესვლის დროს.
  ხელმძღვანელი: ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი შორენა ქურდაძე
- ეპილეფსიური კერის დასადგენად ჯანაშია-ლაგვილავას ალგორითმის კლინიკური გამოყენების პოტენციალის შესწავლა რელევანტურ რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით
  ხელმძღვანელი: მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი სოფიო კასრაძე, კსუ თანადამფინანსებელი და თანამონაწილე.

მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2023 წლის საგრანტო კონკურსი

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ინოვაციების და მეწარმეობის შესახებ
  ხელმძღვანელი: ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარიკა კლდიაშვილი
  კოორდინატორი: ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი შორენა ქურდაძე

მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი

- ქართული მწერლობა მსოფლიოს მასშტაბით
  კოორდინატორი: კსუ-ს მულტიმედია ცენტრი
  კსუ- თანამონაწილე და თანადამფინანსებელი ორგანიზაცია

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში გასაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსი

- კონკურსის გამარჯვებული გახდა მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი შენგელი კიკილაშვილი

2023 წლის განმავლობაში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსებში მონაწილე პროექტებია:

- სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი მაგდა ლორთქიფანიძე „ გონიერი ხელშეკრულების (Smart Contract) გავლენა სახელშეკრულებო სამართლის ტრადიციულ კონცეფციებთან“

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი მათე ივანიაძე „სწრაფი მომსახურების ბაზარზე ონლაინ გაყიდვებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულება საქართველოში“

მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი:

- „ახალგაზრდა მკვლევარები მევენახეობამეღვინეობისათვის“
  ხელმძღვანელი: მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის პროფესორი დავით მაღრაძე
  კოორდინატორი: მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ოლანი გოცირიძე

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

- „ვაზის Vitis vinifera L. ქართული გენოფონდის ბიომრავალფეროვნების კვლევა და კონსერვაცია“
  ხელმძღვანელი: მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის პროფესორი დავით მაღრაძე

- „AI4LabMed – ხელოვნური ინტელექტი ლაბორატორიული მედიცინის ეფექტური და უსაფრთხო პრაქტიკისთვის“
  ხელმძღვანელი: თომას შრადერი

ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი-ევროპის“ მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტის - TIER2 ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის გრანტი - სამეცნიერო კვლევების შედეგების კვლავწარმოების ქსელის დაარსების შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში:

- აღნიშნულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი გახდა უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, შორენა ქურდაძის პროექტი - „Creating Research Reproducibility Network in Georgia“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი 2023 წლის განმავლობაში იყო:

- „ოსების განსახლება და ყოფა საქართველოში XX საუკუნის 20-იან 80-იან წლებში ქალაქ ცხინვალის მაგალითზე“
  ხელმძღვანელი: სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მალხაზ ვახტანგაშვილი
  „აფხაზეთის (1918-1921 წწ) ოკუპაციის ისტორია“
  ხელმძღვანელი: სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე რუსეცკი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობის, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებებით საგრანტო კონკურსის გამარჯვებული გახდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტი:

- „ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ და დევნილ ახალგაზრდებში“
  ხელმძღვანელი: სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო მინდიაშვილი
  თანახელმძღვანელები: რეზი ბერულავა და ნია სადაღაშვილი

2023 წლის განმავლობაში Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალებში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან აფილირებული მეცნიერების ავტორობით და თანაავტორობით გამოქვეყნდა შემდეგი სტატიები[1]:

1. Alkhtib, A.O., Ali, K., **Sajnani, A**.K., Anweigi, L.

[1] მუქი ფერით აღნიშნულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორების სახელები

Barriers and enablers for oral health promotion programs amongst primary healthcare stakeholders in Qatar – a qualitative investigation
(2023) BMC Oral Health, 23 (1), art. no. 924.

2. **Kasradze, S., Gogatishvili, N**., Lazariashvili, M., Lomidze, G., Sander, J.W. Validation of the Georgian version of a Stigma Scale of Epilepsy
(2023) Epilepsy and Behavior, 148, art. no. 109502.

3. **Gogiberidze, A., Khetsuriani, R., Pailodze, M., Arabuli, M., Kandelaki, S., Tortladze, M., Khitiri, L., Jikia, I**.
Characteristics of Intercalated Discs Responsible for Histological Changes of the Left Ventricle in the Experiment Involving Mechanical Loading on 30-Day-Old White Rats
(2023) Journal of Medicinal and Chemical Sciences, (6), pp. 2707-2715.

4. **Guchua, A.**
NATO'S ROLE IN THE POLICY OF NON-PROLIFERATION OF WEAPONS OF MASS DESTRUCTION AND GLOBAL SECURITY: A SHORT OVERVIEW
(2023) Journal of Liberty and International Affairs, 9 (2), pp. 495-506.

5. Verulava, T., **Omanadze, K.**
Hospital health care anti-crisis management issued in Georgia
(2023) Archives of the Balkan Medical Union, 58 (2), pp. 131-140. Cited 1 time.

6. Chirakadze, A., **Chubinidze, G.,** Bose, M., Hatui, L., Dvali, N., Khuskivadze, N., Bhattacharyya, S., Pradhan, R., Devdariani, M., Gumberidze, L., Davlianidze, L., Kostiuchik, N.
Selective Toxicity Testing of Gemcitabine, DMSO, Rubidium and Cesium Salts and Saline Solution Compositions in A549 and NHDF Cell Lines
(2023) Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17 (3), pp. 93-99.

7. Papava, V., **Maisaia, V.**
On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare
(2023) Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17 (3), pp. 117-120.

8. Iobashvili, M., Pailodze, M., Jikia, I., Kharabadze, M., **Tortladze, M**., Gogiberidze, A., Kvesitadze, N.
Detection of Molecular Mechanisms of Angiogenesis during Growth-Development in the Period before the Uterine Leiomyoma Forms in Women in the Reproductive Phase
(2023) Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17 (3), pp. 106-112.

9. Mitagvaria, N., Chirakadze, A., **Chubinidze, G**., Dvali, N., Chichua, T., Khuskivadze, N., Devdariani, M., Gumberidze, L., Kostiuchik, N.
Development and Acute Toxicity Testing of Anticancer Drugs Based on Alkali Metal Solutions for Treatment of Non-Small Cell Lung Cancer
(2023) Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17 (2), pp. 142-147. Cited 1 time.

10. Bayandurov, E., Orjonikidze, Z., Sanikidze, T., Mantskava, M., **Tortladze, M.**
Characteristics of human saliva and rheological parameters as markers of the implantation success
(2023) Series on Biomechanics, 37 (2), pp. 103-111.

11. Meladze, M., Mamasakhlisashvili, L., Ujmajuridze, L., Migliaro, D., Domanda, C., Rustioni, L.
Neglected cultivars for the Mtskheta-Mtianeti region (East Georgia): ampelography, phenology, and agro-climatology
(2023) Vitis - Journal of Grapevine Research, 62 (2), pp. 75-84.

12. Rutjes, S.A., Vennis, I.M., Wagner, E., **Maisaia, V.,** Peintner, L.
Biosafety and biosecurity challenges during the COVID-19 pandemic and beyond
(2023) Frontiers in Bioengineering and Biotechnology, 11, art. no. 1117316.

ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით, უნივერსიტეტში ჩატარდა რიგი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწას და

შეფასების პროცესების უფრო მეტად ავტომატიზაციას. ამისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გააზრებული იქნა უახლოესი წარსული გამოცდილება, გადაიხედა მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა, სამოქმედო დოკუმენტები და განხორციელდა ისეთი ცვლილებები, როგორიცაა:

- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმისთვის საჭირო ინფორმაციის დამუშავების მეთოდების განახლება (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ახალი ფუნქციონალის დამატება, რომელიც ავტომატიზირებულ რეჟიმში აგენერირებს შესაბამის რაოდენობრივ მონაცემებს);
- ხარისხის შიდა მექანიზმების გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტების მოდიფიცირება (განახლდა ინსტრუმენტების დიზაინი და დაემატა რიგი ფუნქციონალი);
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტთა სწავლის შედეგების საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამდგენი ფუნქციონალის დამატება (რომელიც სრულად ავტომატიზირებულია);
- და სხვა.

ამასთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, 2023 წლის საანგარიშო პერიოდის დასასრულს, დაიწყო სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების ინოვაციური და უფრო ქმედითი ინსტრუმენტების მოძიების პროცესი. შედეგად, საანგარიშო წლის დასასრულს შეირჩა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ახალი მეთოდები. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ციფრული სამ დონიანი შეფასების ინსტრუმენტის - PROFFORMANCE ASSESSMENT TOOL-ის გამოყენებას, რომელიც აერთიანებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასებას, კოლეგიალურ შეფასებას და სტუდენტთა შეფასებას.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ, 2023 წლის მეორე ნახევრიდან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ხარისხისა და ინოვაციების გაძლიერებაზე სასწავლო პროცესში. გასული წლის შედეგების შეჯამების საფუძველზე, 2024 წლის დასაწყისში იგეგმება ფაკულტეტებზე ხარისხისა და ინოვაციების გუნდის შექმნა, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები და სწავლების მეთოდების განვითარების მიმართულებით განსაკუთრებული გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი. ხარისხისა და ინოვაციების გუნდი დაეხმარება აკადემიურ პერსონალს სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაში.

საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“ წარდგენილ ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა 4 წლიანი აკრედიტაცია, რითაც კიდევ უფრო მეტად გაიზარდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამათა რაოდენობა. დამატებით, 2023 წლის დასასრულს, სააკრედიტაციოდ წარდგენილი იქნა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო და ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები. ასევე, წარმატებით დასრულდა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმიური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოება.

გარდა ამისა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები განახლდა შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსების დამატებით:

- ამერიკული ლიტერატურა (კოლონიალური საწყისებიდან დღემდე);
- მეტყველება და საჯარო გამოსვლები;
- მსოფლიო ლიტერატურა - თანამედროვე რომანი;
- ფარმაცევტული სამართალი;
- სამართლის დიგიტალიზაცია;
- ადამიანის უფლებათა მონიტორინგი დახურუტილი ტიპის დაწესებულებებში;
- და სხვა.

შედეგად, კიდევ ერთხელ განმტკიცდა არჩევითობის პრინციპი და გამრავალფეროვნდა საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმი.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმატებით განხორციელდა:

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება და მათი მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან პროგრამებისა და სილაბუსების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ლექტორთა დატრენინგება;
- სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებში ლექტორების დატრენინგება და ამ მიმართულებით სილაბუსების განახლება;
- უახლესი ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით სილაბუსების განახლება;
- სწავლის შედეგების მექანიზმების მოდიფიცირება;
- მოქმედი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშების მომზადება;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება.

სტუდენტური აქტივობები

ცხრილში მოცემულია 2023 წლის განმავლობაში განხორციელებლი სტუდენტური ღონისძიებების ჩამონათვალი:

უწყვეტი განათლება და კარიერული განვითარება

2023 წლის განმავლობაში უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საადვოკატო ბიუროს - „მიგრიაული და პარტნიორები“ - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში და უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახურის ორგანიზებით 2023 წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდა რიონ მიგრიაულის სახელობითი სტიპენდია. გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა შერჩევა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით განხორციელდა: კანდიდატთა აკადემიური მოსწრება; კანდიდატის სამოტივაციო წერილი; კანდიდატის სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა სამართლის მიმართულებით.
- 2 ოქტომბერს გაიმართა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, ექიმ ირაკლი გოგიაშვილის საჯარო ლექცი თემაზე: „გული“. ლექციის ფარგლებში სპიკერმა ყურადღება ძირითადად შემდეგ საკითხებზე გაამახვილა: გულის ანატომია, გულის მანკები, აორტული ნაკლოვანება, მკურნალობის ვარიანტები, რეკომენდაციები და დიაგნოსტიკური მეთოდები, შეხვედრის მეორე ნაწილში კი აუდიტორიის კითხვებს უპასუხა. საჯარო ლექცია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახურის ორგანიზებით გულის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა.
  https://ciu.edu.ge/news/index/eqim-irakli-gogiaSvilis-sajaro-leqcia
- 9 ოქტომბერს გაიმართა მასტერკლასი თემაზე - After Effect. სტუდენტებისთვის გამართულ მასტერკლასს ვიზუალური ეფექტების დიზაინერი, თორნიკე ჭელიძე უძღვებოდა. მომხსენებელმა ისაუბრა After Effect-ის წარმომავლობასა და მნიშვნელობაზე, ასევე, ხაზი გაუსვა იმ პროგრამებს, რომლებიც თანხვედრაშია მასთან. განიხილა თუ როგორ მზადდება ანიმეები, 2D ანიმეები, რა არის "მოუშენ" დიზაინი და რა ფუნქციები აქვს მას. აღსანიშნავია, შეხვედრის ფარგლებში სტუდენტებმა სპიკერისგან მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორ გამოიყენონ After Effect თავიანთ პროფესიებში.

- 11 ოქტომბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის „პსპ ფარმას“ წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. კომპანიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სფეროს ახალი ტენდენციების, დარგში არსებული სიახლეებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე. შეხვედრის ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ გამოევლინათ მათი პროფესიული ცოდნა, დაესვათ კითხვები და მიეღოთ საჭირო ინფორმაცია სამომავლო დასაქმებასა და განვითარებასთან დაკავშირებით.
- 7 ნოემბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში „ქართული დიპლომატიის კვირეული“, ჩატარდა. საერთაშორისო ურთიერთობის სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის მოეწყო შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელთან, ნინო ჭაბაშვილთან თემაზე: ,,დიპლომატიური კარიერა და პროფესიული განვითარების პერსპექტივები". გარდა ამისა პროფეიული განვითარების კუთხით დაიგეგმა და განხორციელდა ტრენინგ კურსი თემაზე: „დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი“, რომელსაც უძღვებოდა ექსპერტი დიპლომატიური პროტოკოლისა და ეტიკეტის საკითხებში, გიორგი ვაშაკიძე.

- 10 ნოემბერს გაიმართა „დასაქმების ფორუმი 2023“. ფორუმზე სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ მონაწილე კომპანიების მიერ შემოთავაზებულ ვაკანსიებსა და სტაჟირების პროგრამებს გაცნობოდნენ.

- 17 ნოემბერს გაიმართა შეხვედრა კომპანია გეფასთან. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, კომპანიის წარმომადგენლებისგან მიეღოთ ინფორმაცია დასაქმების და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.

- 30 ნოემბერს გაიმართა შეხვედრა თემაზე: „პირველი ნაბიჯები კარიერაში“, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოწვეული სპიკერისგან მიეღოთ რჩევები ისეთ მნიშვნელოან საკითხებზე, როგორიცაა CV-ისა და სამოტივაციო წერილის შექმნა.

შეხვედრის ფარგლებში მომხსენებელმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა პერსონალური ბრენდინგის თავისებურებებზე და ხაზი გაუსვა იმ უნარებს, რომლებიც საჭიროა წარმატებული გასაუბრებისა და ღირსეული დასაქმებისთვის.

შეხვედრას უძღვებოდა კომპანია Unijobs-ის ოპერაციული ხელმძღვანელი - ელენე ქოჩქიანი.

- 4 დეკემბერს, გაიმართა შეხვედრა ესპანური ენის ცენტრი „იბერია“-ს წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში დაინტერესებულ სტუდენტებს გააცნეს ცენტრში არსებული შესაძლებლობები და ისაუბრეს განვითარების პერსპექტივებზე.
- 7 დეკემბერს ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტებისთვის გაიმართა ვორქშოპი თემაზე: „როგორ შევადგინოთ ეფექტური CV და სამოტივაციო წერილი“.
- 7 დეკემბერს კავკასიის გაიმართა შეხვედრა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებთან. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა ნინო გოგოხიამ (საერთაშორისო ურთიერთობების სამართველოს უფროსი), თამარ გედენიძემ (დამსაქმებლებთან ურთიერთობის მენეჯერი) და მარიამ ყველაიძემ (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის უფროსი სპეციალისტი) სააგენტოს შეთავაზებებსა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ისაუბრეს. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები, მოთხოვნადი და პოპულარული პროფესიები. ასევე, სააგენტოს წარმომადგენლებმა დაინტერესებულ სტუდენტებს გაუზიარეს აქტიური ვაკანსიები.
- 12 დეკემბერს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და კარიერული სამსახურის ორგანიზებით, CIU-ს სტუდენტები იუსტიციის სახლს ესტუმრნენ. კამპანიის - „იუსტიციის სახლის მეგობარი“ ფარგლებში, სტუდენტები გაეცნენ თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლში მუშაობის სპეციფიკასა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების გამოცდილებას. ასევე, იუსტიციის სახლის წარმომადგენლებმა სტუდნეტებს გაუზიარეს ინფორმაცია დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ. საინფორმაციო ტურის

შემდგომ, სტუდენტებს იუსტიციის სახლის თავმჯდომარე ლაშა ლობჯანიძემ უმასპინძლა. სტუდენტებს გამართული პრეზენტაციის შემდგომ, შესაძლებლობა ჰქონდათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიეღოთ მათთვის სასურველი ინფრომაცია.

- 15 დეკემბერს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის და სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მოეწყო პროფესიული ტური თბილისის საკრებულოში. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. სტუდენტების შეკითხვები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეების ჩართულობას და სხვადასხვა პროექტის განხორციელებას ეხებოდა.
- 26 დეკემბერს გაიმართა ინგლისურენოვანი კურსების ლექტორებისთვის ტრენინგი, რომლის ძირითადი თემატიკაც მიზნად ისახავდა აკადემიურ პერსონალში დარგობრივი კონპეტენციის ამაღლებასა და სასწავლო პროცესში თანამედროვე სტანდარტების დანერგვას. ტრენინგს უძღვებოდა CELTA-ს ტრენერი, English Skills-ის სწავლების პროცესის დირექტორი თამთა მშვიდობაძე.
- 28 დეკემბერს დასრულდა კურსი „კარიერული ქოუჩინგისა და მენტორინგის პროგრამა CIU-ს სტუდენტებისთვის“, რომელსაც უძღვებოდა კარიერული კონსულტირების, მენტორინგისა და ქოუჩინგის სივრცის - Co.Liberum - დამფუძნებელი მარიამ ჩოხელი. კურსის ფარგლებში მონაწილეებმა ინტერაქტიული სესიების მეშვეობით შეიძინეს ცოდნა, რაც დაეხმარებათ რეალურ ცხოვრებაში პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. პროგრამა მოიცავდა შვიდ შეხვედრას - კვირაში ერთხელ. პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები.

აქტივობა	მიმართულება
რა? სად? როდის? ბიზნეს ლიგის მე-7 ტურში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ნაკრებმა მე-3 ადგილი დაიკავა	განათლება
ინტელექტუალურ თამაშს " აზრინგში" გამარჯვება	განათლება
საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (8 მარტი), გაიმართა ქვიზ-ვიქტორინა „ქალები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო“,	განათლება
განათლებისა და კულტურის მიმართულების კლუბების პრეზენტაცია	განათლება
ქვიზ-ტური აღმოაჩინე საქართველო	განათლება
რა? სად? როდის? ცხელ ძაღლზე	განათლება
დებატების საორეინტაციო შეხვედრა და ტრენინგი	განათლება
ინტელექტკლუბში კროსმაისტერი ჩატარდა	განათლება
ინტელექტუალური დუელი	განათლება
ფილმის ჩვენება	განათლება
რა ? სად? როდის? ბიზნეს ლიგის მე-9 ტურში, მესამე ადგილი მოიპოვა კსუს-ნაკრებმა	განათლება
ინტელექტუალურ შემეცნებითი ბანაკი	განათლება
რა? სად? როდის? მეორე ტური	განათლება
კარლ-პოპერის დებატების პირველი თამაში	განათლება
კარლ-პოპერის დებატების მეორე თამაში	განათლება
რა? სად? როდის? სატელევიზიო	განათლება
სატელევიზიო რა? სად? როდის? გამარჯვებულების შეხვედრა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანთან	განათლება
ბრეინ რინგის ჩემპიონატი	განათლება
კვადროს ჩემპიონატი	განათლება
ქვიზ-ტური კულინარიაზე	განათლება
შეხვედრა თათული ღვინიანიძესთან	განათლება
We Are the World- უცხოელების ვიქტორინა	განათლება
მელომანია	განათლება
საფეხბურთო ჯეპარდი	განათლება

დებატების ფინალი	განათლება
საფეხბურთო -ქვიზ-ვიქტორინა	განათლება
რა? სად? როდის? ჩემპიონატის მესამე ტური	განათლება
რა? სად? როდის? პირველ რესპუბლიკაზე	განათლება
ჯეპარდის ჩემპიონატი	განათლება
კსუ-ს რა? სად? როდის? გუნდი მოაზროვნეთა მარათონის ვიცე-ჩემპიონია	განათლება
რა? სად? როდის? ჩემპიონატის სეზონის დახურვა	განათლება
კსუ-ს ინტელექტკლუბი ახალ სეზონს იწყებს	განათლება
კსუ-ს რა სად როდის ნაკრების წარმატება ბიზნეს-ლიგის პირველ ტურში	განათლება
საინფორმაციო შეხვედრა კლუბებთან დაკავშირებით	განათლება
რა? სად? როდის? ბუ და პინგვინი	განათლება
ქვიზ ტური - აღმოაჩინე საქართველო	განათლება
რა? სად? როდის? პირველი ტური	განათლება
კსუს-ს ნაკრებმა რა? სად? როდის? ბიზნეს ლიგის მეორე ტური მოიგო	განათლება
კსუ-ში ინტელექტუალური დუელი გაიმართა	განათლება
საფეხბურთო ჯეპარდის ჩემპიონატი	სპორტი
რა? სად? როდის? ჩემპიონატის მეორე ტური	განათლება
რა? სად? როდის? სატელევიზიო მეორე ეტაპი	განათლება
უცხოელების ინტელექტუალური თამაში	განათლება
კარლ პოპერის დებატები	განათლება
ბრეინ რინგის ჩემპიონატი	განათლება
გუნდური ჯეპარდის ჩემპიონატი	განათლება
მუსიკალური ქვიზ-ვიქტორინა	განათლება
რა? სად? როდის? მესამე ტური	განათლება

სამედიცინო ინგლისურენოვანი ქვიზი	განათლება
სპორტულ ინტელექტუალური მარათონი	განათლება
კარცერლ ლუქსის ორგანზიებული პოეზიის საღამო	განათლება
კსუს-ს რა? სად? როდის? ნაკრების გამრჯვება ბიზნეს-ლიგის მე-4 ტურში	განათლება
ინტელექტკლუბის შემოდგომის სეზონის დახურვა	განათლება
რა? სად? როდის? სატელევიზიო მეორე ეტაპი	განათლება
უცხოელების ინტელექტუალური თამაში	განათლება
კარლ პოპერის დებატები	განათლება
ბრეინ რინგის ჩემპიონატი	განათლება
გუნდური ჯეპარდის ჩემპიონატი	განათლება
მუსიკალური ქვიზ-ვიქტორინა	განათლება
რა? სად? როდის? მესამე ტური	განათლება
სამედიცინო ინგლისურენოვანი ქვიზი	განათლება
სპორტულ ინტელექტუალური მარათონი	განათლება
კარცერლ ლუქსის ორგანზიებული პოეზიის საღამო	განათლება
კსუს-ს რა? სად? როდის? ნაკრების გამრჯვება ბიზნეს-ლიგის მე-4 ტურში	განათლება
ინტელექტკლუბის შემოდგომის სეზონის დახურვა	განათლება
სპორტულ ინტელექტუალური მარათონი	განათლება
კარცერლ ლუქსის ორგანზიებული პოეზიის საღამო	ხელოვნება
კსუს-ს რა? სად? როდის? ნაკრების გამრჯვება ბიზნეს-ლიგის მე-4 ტურში	განათლება
სტუდენტური ცხოვრება 2023 შემაჯამებელი ღონისძიება	სპორტი /ახალგაზრდობა ჩატარდა ტურნირები)
მინი ფეხბურთში პირველი ადგილი	სპორტი
ჯომარდობა - პირველი ადგილი (სტუდენტური ფესტივალი 2023)	სპორტი

ბოულინგი	სპორტი
კარტინგი	სპორტი
შაში პირველი ადგილი სტუდენტური ფესტივალი	სპორტი
CIU -ს ფუტსალის გუნდი - ფუტსალის ევროპის 2023 საუნივერსიტეტო ჩემპიონატში მიღო მონაწილეობა სადაც ¼ ფინალი ვითამაშეთ	სპორტი
2022/2023 წლების კალათბურთის სუპერლიგის სეზონეში ს.კ. კავკასიამ მესამე ადგილი დაიკავა.	სპორტი
ქართულ-ხალხური სიმღერები - მეორე ადგილი (სტუდენტური ფესტივალი 2023)	კულტურა
2023 წელს 30მდე ექსკურსია ჩატარდა როგორც ქართველი ასევე უცხოელი სტუდენტებისთვის	კულტურა
ინტელექტკლუბის შემოდგომის სეზონის დახურვა	განათლება

ბიბლიოთეკა

2023 წელს განახლდა და გაწევრიანდა Ebsco EP Package Elite-სა და eIFL ქსელებში. განახლდა წვდომა შემდეგ ბაზებზე:

1. Cambridge Journals Online,
2. Royal Society Journals Collection ,
3. e-Duke Journals Scholarly Collection,
4. Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books,
5. European Respiratory Journal,
6. SAGE Premier,
7. IMechE Journals,
8. Mathematical Sciences Publishers,
9. Openedition Journals,
10. The Company of Biologists,
11. Academic Search Elite,
12. Business Source Elite,
13. Regional Business News ,
14. Newspaper Source,
15. MasterFILE Elite ,
16. ERIC - (the Education Resource Information Center) ,
17. GreenFILE,
18. Library,
19. Information Science & Technology Abstracts,
20. MEDLINE,
21. Health Source: Nursing/Academic Edition ,
22. Health Source - Consumer Edition ,
23. Master FILE Reference eBook Collection,
24. eBook Open Access (OA) Collection (EBSCOhost),
25. Scopus ,
26. Funding Institutional
27. Science Direct.

სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი, რომლებზეც უნივერსიტეტს აქვს წვდომა, ასევე მათი აღწერა იხილეთ ბმულზე: https://ciu.edu.ge/menu/slug/eleqtronuli-resursebi.

საბიბლიოთეკო სერვისების მდგომარეობა 2023 წლისათვის

- ✓ დღეისათვის უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობა 27613 ერთეულს მოიცავს. აქედან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელოების რაოდენობა 21713 –ს შეადგენს და მითითებული იყო ან არის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო 5900 ერთეული არის დამხმარე ლიტერატურა. 2023 წელს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით დამუშავდა ინვენტარი 29230 - დან 30123 მდე, რაც ნიშნავს 893 წიგნის, სტატიის თუ ჟურნალის დამუშავებას და გაფორმებას ბიბლიოთეკის კატალოგში შესაბამისი წესის მიხედვით.
- ✓ 2023 სასწავლო წლის ბოლოს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განთავსებულია 780 სახელმძღვანელო.
- ✓ კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან, ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტით მომსახურების ფარგლებში(ბშა), რაც გულისხმობს: პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა (https://www.nplg.gov.ge) და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის (www.sciencelib.ge) საცავიდან წიგნადი ფონდის დროებითი სარგებლობისათვის გაცემას.
- ✓ 2023 წელს გამოწერა განახლდა მხოლოდ ქართულ გაზეთებზე, რომლის ღირებულება შეადგენს 1144 ლარს. გამოწერილი გაზეთები: კვირის პალიტრა, ჯორჯია თუდეი და სხვა. ასევე 7 ჟურნალი : ეკონომიკა, აგრარული საქართველო; Forbes ქართული; Natonal Geograplic-ქართული; ბიზნესი და მენეჯმენტი-აუდიტი, აღრიცხვა და ფინანსები + ბიზნესი და მენეჯმენტი, Entrepreneur Georgia, Harvard business review
- ✓ 2023 წლის 18 თებერვალს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება Turnitin-თან, რომელიც არის ორიგინალობის შემოწმებისა და პლაგიატის პრევენციის სერვისი და ამოწმებს ნაშრომებს არასწორ ციტირებაზე, კოპირებაზე, ხოლო შემოწმებულ ნაშრომს ინახავს Turnitin-ის საცავში, რომლის მონაცემთა ბაზა მზარდია და შეიცავს უამრავ წიგნს, ჟურნალის სტატიებსა და კონფერენციის მასალებს. 2023 წლის განმავლობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების დაახლოებით 900 ნაშრომი შემოწმდა ანტიპლაგიატის სისტემაში. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი არის ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin-ის ადმინისტორი და ატერებს ტრენინგებს სტუდენტებისათვის მასში მუშაობის ტექნიკების შესახებ.
- ✓ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სრული დატვირთვით მუშაობს სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისათვის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 - დან 20:00 საათამე მდე, ხოლო შაბათს 10:00-დან 18:00 საათამდე. 2023 წელს ბიბლიოთეკიდან გაიცა 1547 წიგნი, აქედან მხატვრული ლიტერატურა 113 ერთეული, სამართლის მიმართულებით 714 ერთეული და დანარჩენი 720 ერეული. ბიბლიოთეკის მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენს 1330 მკითხველს.

2023 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრეინინგებში:

- „eIFL-ის საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ძიების კატეგორიები.“ შეხვედრას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ესწრებოდა.
- კომპანია ელსევიერის ტრენინგები და ვებინარები:

  - ✓ 11 აპრილს, SCOPUS - მიმოხილვა
    Scopus ბიბლიომეტრიული ბაზის მიმოხილვა. ბაზის შესაძლებლობები. როგორ ეხმარება Scopus-ი მეცნიერებს და მეცნიერების ადმინისტრატორებს. ბაზაში ინდექსირებული წყაროები და პუბლიკაციები.
  - ✓ 25 აპრილს, ScienceDirect - მიმოხილვა. ScienceDirect რესურსის მიმოხილვა. ელსევიერის ჟურნალები. თემატური გვერდები. ჟურნალების მეტრიკები.
  - ✓ 16 მაისს , Scopus - ხშირად დასმული კითხვები, სადაც განხილული იყო სამეცნიერო ბაზა- Scopus - ხშირად დასმული კითხვები და პასუხები.

- ✓ 23 მაისს , ScienceDirect - ხშირად დასმული კითხვები, სადაც განხილული იყო ScienceDirect - ხშირად დასმული კითხვები და პასუხები.
- ✓ 20 სექტემბერს, ვებინარი - წყაროების მეტრიკები სკოპუსში
- ✓ 27 სექტემბერს, ვებინარი - ჟურნალების პროფილი ScienceDirect-ში
- ✓ 18 ოქტომბერს, ვებინარი სწორი ჟურნალის შერჩევა
- ✓ 25 ოქტომბერს, ვებინარი - მეცნიერის ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები Scopus-ში.

- ტრენინგი: „საინფორმაციო (ალტმეტრიული) სერვისები მეცნიერებაში“, სადაც ლექციები დაეთმო საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისათვის საჭირო ინფორმაციას და ციტირების ინდექსისა და საერთაშორისო სივრცეში მკვლევარის ცნობადობის გაუმჯობესების მეთოდებსა და საშუალებებს. ლექციები ჩატარდა ასოციაცია მეცნიერებისათვის ორგანიზებით და გაგრძელდა 4 დღე, googlemeet-ის პლატფორის საშუალებით.
- ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა აევე მონაწილეობა მიიღეს ღონისძიებაში - EBSCO-ს დღეები სქართველოში 2023. ღონისძიება განკუთვნილი იყო უმაღლესი და პორფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის და შედგებოდა ორი ნაწილისაგან;

პირველ ნაწილზე განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ISM_ის სერვისები;
- EBSCO-ISM სამუშაო ანგარიში;
- EBSCO ელექტრონული სამეცნიერო ბაზები და მათი პრაქტიკული გამოყენება;
- განახლებული შეთავაზებები;

შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო:

- უნივერსიტეტების მხრიდან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას;
- EBSCO_ს ელექტრონული ბაზების მაღალი გამოყენების სტატისტიკის მქონე უნივერსიტეტების დაჯილდოვებას;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმის წევრი ორგანიზაციების ბიბლიოთეკარებისთვის ჩატარებულ ტრენინგში თემაზე: „თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის ოპტიმიზაცია“. ტრენინგს უძღვებოდნენ ტრენერები: ლალი ბადრიძე (ფსიქოლოგი და ქოუჩი) და ანი მაისურაძე (ფსიქოლოგი). ტრენინგი შემდეგ საკითხებს მოიცავდა:
  - კომუნიკაციისა და მოსმენის უნარების ჩამოყალიბება;
  - საკუთარი აზრის გამოხატვისა და კომპრომისული გადაწყვეტილების მიღების უნარი;
  - სხვა ადამიანების გაგებისა და მიღების უნარის გაძლიერება;
  - მიზნების დასახვა, მიღწევის სტრატეგიის ფორმირება და თვითშეფასების ოპტიმიზაცია;
  - ემოციური ინტელექტის განვითარება, ემოციების და გრძნობების გაცნობა;
  - მათი კონსტრუქციულად გამოხატვის უნარი;
  - თვითშეფასების მნიშვნელობა;
  - თვითშეფასების სახეები (კონფლიქტური და არაკონფლიქტური);
  - თვითკონტროლის უნარის განვითარება, თვითშეფასების ოპტიმიზაცია;
  - სტრესული სიტუაციებისას;
  - თავდაჯერებულობის ჩამოყალიბება და განვითარება;
  - თავდაჯერებულობის ამაღლება საკუთარი პიროვნების, შესაძლებლობებისა და პოტენციალის მიმართ.

2023 წლის განმავლობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ უმასპინძლა შემდეგ ღონისძიებებს:

- გალაქტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატის, ილია ჭავჭავაძის სახელობის ოქროს მედლის მფლობელის, პოეტ ედუარდ უგულავასა და CIU-ს სტუდენტთა ერთობლივი პოეზიის საღამო. აუდიტორიის წინაშე საკუთარი და ქართველ კლასიკოსთა ლექსები წაიკითხეს: თამარ ოყუჯავამ, ნანა მიქავამ, ლაშა სვინტრაძემ, ირაკლი მჭედლიშვილი და ბაკურ ხუბულავამ. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ: შალერ (შაკო) გორდულავა და ბექა მანაგაძე. პოეზიის

საღამოს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სტუდენტები ესწრებოდნენ.

ინტერნაციონალიზაცია

2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა შემდეგ უნივერსიტეტებთან:
1. The University of Liege, Belgium
2. Emu University, Uzbekistan
3. St.Cyril and St.Methodius University of Veliko Tarnovo, Republic of Bulgaria
4. Deggendorf Institute of Technology, Germany
5. Agricultural University of Athens, Greece
6. Universidad Internacional De La Rioja-UNIR, Spain
7. Technical University of Moldova, Moldova
8. Sinergija University, Bosnia and Herzegovina
9. Vinnytsia Myhkhailo Kotsiubynskyi State Pedagogical University, Ukraine
10. Kyrgyz National University< Kyrgyzstan
11. Universidade Paulista (UNIP), Brazil
12. Haute Ecole Provinciale de Hainaut Condorcet, France
13. University of Cyprus, Cyprus
14. The Polytechnic Institute of Viseu, Portugal
15. Florence Healthcare, Turkey

საერთო ჯამში, 2023 წელს ორივე მიმართულებით (შემომავალი და გამავალი) საერთაშორისო მობილობის სხვადასხვა პროექტში ჩაერთო 77 პირი. აქედან, 9 ადმინისტრაციული პერსონალი, 7 აკადემიური პერსონალი, 61 სტუდენტი.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ და მიღებულ იქნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

საქმიანი შეხვედრები

1. 6 ივლისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს ეწვია **საფრანგეთის ჟან მულანის ლიონ III უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი** ევროპის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფრანგულენოვანი სამყაროს საკითხებში, საერთაშორისო ურთიერთობების გენერალური სამსახურის უფროსი მანუელ ჟობერტი და კვლევების დირექტორის მოადგილე ჰონგ ხანჰ დანგი (Hong Khanh DANG).
ჟან მულანის ლიონ III უნივერსიტეტის წარმომადგენლებს CIU-ს მხრიდან შეხვდა რექტორი კახაბერ კორძაია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი მარიკა კლდიაშვილი, სამართლის ფაკულტეტის დეკანი გიორგი ხატიძე და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინატორი სვეტლანა კირაკოსიანი.
შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს უნივერსიტეტები, განიხილეს ერთობლივი თანამშრომლობის შესაძლებლობები და შეთანხმდნენ ინსტიტუციური თანამშრომლობის განვითარებაზე.
2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს **ღვინის ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი** ეწვია. ხოსე ანტონიო ვიდალი ენოტურიზმის გლობალური გაერთიანების წევრი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობას შეხვდა და მათთან ერთად განიხილა მომავალი თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები.
პარტნიორობა ორ მიმართულებას მოიცავს. ერთი მხრივ ეს მოიაზრებს უნივერსიტეტის, როგორც ბიზნეს სუბიექტის ჩართულობას მომავალ აქტივობებში, მეორე მხრივ კი ერთობლივი აკადემიური, საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს ენოტურიზმის ასოციაციასთან (GETA) ერთად, ორი წელია რაც ღვინის ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია. აღნიშნული პარტნიორობა

ენოტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით კვლევებისა და სასწავლო პროგრამების განხორციელებას ითვალისწინებს. ამას გარდა, ურთიერთთანამშრომლობა ხელს უწყობს საქართველოს, როგორც ღვინის ტურიზმის ერთ-ერთი გამორჩეული დანიშნულების ადგილს პოპულარიზაციას მსოფლიოს მასშტაბით.

3. 20 აპრილს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტს ჩანდიგარის უნივერსიტეტის (ინდოეთი) ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი სანდიფ გულერია ესტუმრა. ვიზიტი ჩანდიგარის უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა. სტუდენტებთან შეხვედრაზე პროფესორმა ტურისტული პროდუქტის ფორმირების თავისებურებებზე ისაუბრა. განიხილა პროდუქტის მნიშვნელობა, შექმნის გამოწვევები და პრიორიტეტები, მისი რეალიზაციისა და სტუმულირების საკითხები. სპიკერმა ასევე ისაუბრა ინდოეთის, როგორც მსოფლიო ტურისტული დესტინაციის მახასიათებლებზე.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა CIU-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკან მარიკა კლდიაშვილთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის სტრატეგიული პროექტების ხელმძღვანელი ნანა გადელია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი ლალი მიქელაძე და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინატორი სვეტლანა კირაკოსიანი.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის მიმდინარე საკითხები და სამომავლო პერსპექტივები. აღსანიშნავია, რომ ინდოელი პროფესორი მაისის თვეში ჩაერთვება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ „ტურიზმის კვირეულში“.

- ცნობისთვის, ჩანდიგარის უნივერსიტეტი, სადაც 60 ათასამდე სტუდენტი სწავლობს, ინდოეთის მასშტაბით საუკეთესო კერძო უნივერსიტეტების სამეულში შედის.

საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობა და საერთაშორის ორგანიზაციის წევრობა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ვიზიტით იმყოფებოდნენ ინდოეთში, საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო გამოფენაზე, რომელშიც უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებდა 11 სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად. ეს გამოფენა ემსახურებოდა პერსპექტიულ სტუდენტებთან გასაუბრებას, ასევე სააგენტოებთან შეხვედრებს.
Study In Gerogia-ს ეგიდით საქართველოს უნივერსიტეტები და მათ შორის კავკასიის საერთაშრისო უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საგანმანათლებლო გამოფენებში. 2023 წლის სექტემბერში უნივერსიტეტმა მონაწილება მიიღო გამოფენაზე ქალაქ როტერდამში, https://www.eaie.org/ სადაც მიმდინერაობდა შეხვედრები პარტნიორ უნივერსიტეტებთან. შეხვედრებისას განვიხილეთ მემორანდუმის გაფორმების დეტალები და ასევე სხვადასხვა საგრანტო პროგრამებში მონაწილების შესაძლებლობები. ამ გამოფენაზე უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება 8-მდე უცხოურ უნივერსიტეტთან. ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებიდან უნდა გამოიყოს პორტუგალიის უნივერსიტეტი: The Polytechnic Institute of Viseu. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კოორდინატორობით მომზადებულ საპროექტო განაცხადში - ევროკავშირის ჰორიზონტის პროგრამის ე.წ. Excellence Hub - ის კონკურსის ფარგლებში, ვიზეუს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ერთ-ერთ პარტნიორადაა წარმოდგენილი.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები 2023 წლის ნოემბრის თვეში იმყოფებოდნენ ბერლინში საგანმანათლებლო გამოფენაზე https://www.icef.com/, სტუდენტთა რეკრუტირების მიზნით. გაფორმდა ხელშეკრულება 10-ზე მეტ სააგენტოსთან უცხოელი სტუდენტების მოზდივის მიზნით.
2023 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი გახდა 2 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, ეს არის European Association for International Education და ICEF.

2023 წლის განმავლობაში გახორციელებული მხარდაჭერის ღონისძიებები პროგრამების ინტერნაციონალიზაციისათვის

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის პროცესებში, რაც გამოიხატება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და ადმინისტრაციის საერთაშორისო მობილობის პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში, უცხოელი პროფესორებისა და/ან ტრენერების ჩართვაში საგანმანათლებლო პროგრამებში და/ან ექსტრა-კურიკულარულ აქტივობებში. ასევე დეპარტამენტი ხელს უწყობს ფაკულტეტებს ინტერნაციონალიზაციის კუთხით სხვადასხვა ამოცანების შესრულებაში.
მედიცნის ფაკულტეტზე, ინგლისურენოვანი სამედიცინო და ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის, პროგრამები მოვიდა შესაბამისობაში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი სამედიცინო საბჭოსა და სტომატოლოგიის უმაღლესი საბჭოს მოთხოვნებს, რის შედეგადაც დიდი ბრიტანეთის მიერ მოხდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების აღიარება მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულებით.

საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა

- 2023 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ჩაერთო პროექტში „Consulting Services for Promoting Internationalization of Higher Education“, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „საქართველო - ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი“ პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

  პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას და მოიცავს სამ ძირითად ამოცანას: ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შემუშავება განათლებისა და მეცნიერების მენეჯმენტში, სპეციალობის ინგლისური ენის მოდულების და მეწარმეობის მოდულების შემუშავება და საერთაშორისო სეზონური სკოლების შემუშავება და განხორციელება დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მკვლევარებისთვის.
  პროექტის პირველ ეტაპზე განხორციელდა საქართველოს უსდ-ების ინსტიტუციური კვლევა და შეფასება სხვადასხვა კომპონენტებით - სწავლა და სწავლება, განათლება, კვლევა, მატერიალური და ადამიანური რესურსები და ა.შ. მეორე ეტაპზე განხორციელდა პროექტში ჩართული უსდ-ებისთვის ონლაინ ვორქშოპების ჩატარება და პროექტის მიზნების გაცნობა, პროექტის მესამე ეტაპზე კი შეირჩა რამდენიმე უნივერსიტეტი, რომლებიც პროექტით დასახულ ამოცანებს განახორციელებენ უცხოელ კონსულტანტებთან თანამშრომლობით.
  პროექტის მეორე ამოცანის განსახორციელებლად კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეირჩა. CIU-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბაზაზე, პროექტის საერთაშორისო ექსპერტებთან, University College London Consultants-ის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით შემუშავდება „ბიზნესინგლისურის“ და „მეწარმეობის“ ე.წ. Benchmark მოდულები, რომლებიც პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოს სხვა უსდ-ებს შეეთავაზება როგორც გზამკვლევი აღნიშნული მოდულების დანერგვისას.

ფაკულტეტების საქმიანობა

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტის საქმიანობა მიმდინარეობდა გეგმის მიხედვით, განხორცილედა მრავალი პროექტი, კონფერენცია და სხვა აქტივობები. ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გაიზარდა მიღებული სტუდენტების რაოდენობა სპეციალობების მიხედვით.

ფაკულტეტზე განხორციელებული აქტივობები, პროექტები, გრანტები

აქტივობა	აღწერა
აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის	“საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერებაში“
	„სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები, წყაროების გამოყენება და დამოწმება, ციტირების სტილები, ინდექსი, სამეცნიერო ნაშრომის საზღვარგარეთის ჟურნალებში გამოქვეყნება“.

ასამაღლებელი ტრენინგები	
აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა	30
სამეცნიერო კვლევები	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიმართულება - „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური საკითხები“
	ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიმართულება „მასმედიის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე პოლიტიკური ტექნოლოგიების განხორციელების პროცესში (საქართველოს მაგალითზე).
„Erasmus +“-ის გრანტი	Erasmus+ ფარგლებში, ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლების მიზნით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ეკა ბერაია სასწავლო-აკადემიური მივლინებით პოლონეთის რესპუბლიკის იოსეფ გოლუხოვსკის სახელობის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტში იმყოფებოდა. ეკა ბერაიამ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიულ პარტნიორ პოლონურ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგი ჩაატარა, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო სტუდენტებისთვის სამი სალექციო კურსი წაიკითხა თემებზე: „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „ჰიბრიდული ომის თეორია“ და „გამოყენებითი გეოპოლიტიკის კვლევის მეთოდები“.
სხვა განხორციელებული აქტივობები	მოწვეული მკვლევარისა და პროფესორის რანგში ვიზიტი დეპოლის უნივერსიტეტში
	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში შეერთებული შტატებისა და კანადის შესწავლის ინსტიტუტის (USACA) მიერ გამოცემული წიგნის - „კანადა“ - პრეზენტაცია გაიმართა. სახელმძღვანელო დაფინანსებულია სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ. აღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს: კანადის ისტორიას, კონსტიტუციურ ჩარჩოს, ლიტერატურას, მეღვინეობას, სამართლებრივ და გენდერულ საკითხებს. სახელმძღვანელოს ავტორები არიან: ნანა პარინოსი, ციცინო ბუკია, ანი გაგნიძე, ანი კიბორძალიძე, ნიკა ვაჩიბერაძე, ლადო კვიკვინია.
საჯარო ლექციები, ვიზიტები	თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში „სამხრეთ კავკასია ფართო შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში“ ორკვირიანი საერთაშორისო კურსი გაიმართა. აღნიშნულ კურსი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, თეონა ლეჟავა და ანი გაგნიძე ესწრებოდნენ.
	საჯარო ლექცია თემაზე: „პოლონურ-ქართული საერთაშორისო ურთიერთობები: პოლიტიკა, კულტურა, ტრანსგრესია“. ლექციას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტის (პოზნანი, პოლონეთი) პოლიტიკის დოქტორანტი, პოლონეთის მინისტრთა საბჭოს აპარატის საინფორმაციო სამსახურის ყოფილი დირექტორი, მარჩინ ოლეინიკი უძღვებოდა.
	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის (უსმა/USMA) ორგანიზებით, გაიმართა საჯარო ლექცია/დისკუსია თემაზე: ,,საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები მე-18

	საუკუნის მეორე ნახევარში". ლექციას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვახტანგ გურული და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, CIU-ს ასოცირებული პროფესორი, ქეთევან შოშიაშვილი უძღვებოდნენ.
	თამაზ ჯოლოგუას საჯარო ლექცია, ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით
	მაიკო ტყემალაძის საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე: „ციფრული პლატფორმების ეფექტური მართვა - გზამკვლევი დამწყებთათვის“.
	დიმიტრი ამილახვარი - საფრანგეთის ლეგიონის ლეგენდარული გმირი: ბიოგრაფიის უცნობი ფურცლები.
	ნატოს საინფორმაციო ცენტრში, საჯარო ლექცია გაიამართა თემაზე „დეზინფორმაცია, ჰიბრიდული საფრთხეები და უცხოური გავლენა“ ლექციას უძღვებოდა ოფერ ფრიდმანი.
	სოციალურ და ჰუმინიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, კინოდრამატურგისა და რეჟისორის, ბესო ოდიშარიას საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე: „თანამედროვე სცენარის ანალიზი“.
	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „პოლიტიკური რეფორმების როლი ცენტრალურ აზიაში ყაზახეთის მაგალითზე“.
	საჯარო დისკუსია თემაზე: „ფინეთის გაწევრიანება ნატოში და საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივები“.
	პანელური დისკუსია გაიმართა თემაზე: „სეკულარიზმის იდეა საქართველოში - სამართლებრივი და თეოლოგიური კონტექსტი“.
	ირაკლი ალადაშვილის საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე: „შეიარაღებული კონფლიქტების სამხედრო-პოლიტიკური ანალიზი, ომის მასმედიით გაშუქების თავისებურებები და საფრთხეები ჟურნალისტებისთვის“
	საფრანგეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, იუნესკოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის, გოჩა ჯავახიშვილის საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე: „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების დინამიკა“
	ჟურნალისტიკის სტუდენტების ვიზიტი ელენე ახვლედიანის მუზეუმში - პროფ. ხათუნა კაჭარავას ხელმძღვანელობით. ტელეკომპანია „იმედის“ ტელეწამყვანის, ჟურნალისტ თეა სიჭინავას საჯარო ლექცია გაიმართა.
	ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის თემატიკა კინემატოგრაფში - რუსუდან კვარაცხელია, გია მეფარიშვილი.
	ზაფხულის სკოლა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარდა ზაფხულის სკოლა თემაზე: „სამშვიდობო პოლიტიკა და ნდობის აღდგენა ოკუპირებულ რეგიონებთან“
	„ქართული დიპლომატიის კვირეული“
კონფერენციები	„თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოება და მასიური განადგურების იარაღი - ასიმეტრიული სამხედრო გამოწვევები და რეგიონალური უსაფრთხოების დილემა“.
	სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტების ვიზიტი „ლარნაკას საერთაშორისო კონფერენცია.“
	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრის“ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება“.

	კსუ-ს პროფესორებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორანტების ვიზიტი სტამბულის სამეცნიერო სემინარზე.

სამართლის ფაკულტეტი

ფაკულტეტის ეგიდით 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა მრავალი ღონისძიება, როგორც უნივერსიტეტში, ისე უნივერსიტეტს გარეთ. გაფორმდა მნიშვნელოვანი მემორანდუმები.

ფაკულტეტზე განხორციელებული აქტივობები, პროექტები, გრანტები, შეხვედრები და სხვა, რომლებიც თავმოყრილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივობა	აღწერა
მემორანდუმები	1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და საქართველოს პარლამენტის კვლევით ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. 2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. 3. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, აშშ-ის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციასა (EPAG) და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. 4. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ სამართალი თავისუფლებისთვის შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
საჯარო ლექციები	1. დევიდ შულცის საჯარო ლექცია - თემა: ,,ფიქრები საქართველოს კონსტიტუციაზე და დემოკრატიის სამომავლო პერსპექტივებზე მთელ მსოფლიოში“ 2. მარიამ ბეგიაშვილი, გურამ კრავეიშვილი, მარიამ გიგაური - თემა: „ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა და ფემიციდი“. 3. სოფიო დემეტრაშვილი - თემა: „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - აღსასრულებელი და თვითაღსრულებადი გადაწყვეტილებები“. 4. ლევან დარბაიძე - თემა: „აღდგენითი მართლმსაჯულება მოსამართლის პერსპექტივიდან“ 5. თამარ გაბისონია, თამარ სურმავა - თემა:„დისკრიმინაციის აკრძალვა და არაფორმალური დასაქმება“ 6. არკადიუშ ვუდარსკი, ლადო სირდაძე - თემა : "მამობის ბათილად ცნობის სასამართლო პრაქტიკის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი". 7. საქართველოს გენერალური პროკურატურა - თემა:„ ორგანიზებული დანაშაული, არსებული კანონმდებლობა, მიღწევები და გამოწვევები“. 8. ლევან გიგინეიშვილის-თემა: “ჭეშმარიტების თანამედროვე კრიზისი და პოსტ-ჭეშმარიტების სამყარო” 9. ჯეიმს მაკმანუსი, თამთა წირქვაძე - თემა: „ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციის მნიშვნელობა და გამოწვევები". 10. საჯარო ლექცია-თემა: „სეკულარიზმის იდეა საქართველოში - თეოლოგიური კონტექსტი“. 11. საჯარო ლექცია- თემა: „მართლწესრიგის ოფიცრის სამსახურის შესახებ“ 12. როინ მიგრიაული - თემა:,,ადვოკატის სტატუსის მოპოვება და საადვოკატო საქმიანობის ორგანიზება“

	13. საჯარო ლექცია- თემა: „მომავლის სამუშაო ბაზარი: რა ელის თქვენს პროფესიას ტექნოლოგიურ სამყაროში?“. 14. ბელა ფიფია, რუსუდან კვარაცხელია, ნინო ბასილაია -თემა: „ვსაუბრობთ ქალთა უფლებებზე“ 15. გიორგი ხუბუა - თემა:"სამართლიანობა როგორც სამართლის პრინციპი" 16. ანა გვასალია - თემა: ადამიანის უფლებებსა და მისი დაცვის მექანიზმებზე, თანასწორუფლებიანი გარემოს უზრუნველყოფა. 17. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება - თემა:„შრომითი უფლებები და მისი დაცვის მექანიზმები“. 18. თამარ ტყეშელაშვილი - თემა: „იუსტიციის სამინისტროს სისტემის კომპეტენციაში შემავალი სამართლებრივი საკითხები“.
ტრენინგები	1. იუსტიციის სასწავლო ცენტრში პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის სამუშაოს ეფექტიანად წარმართვის მიზნით 7 და 8 ივნისს ტრენინგი პროექტის ქართველმა მკვლევარმა და ტრენერმა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, გივი მიქანაძემ ჩაატარა და მონაწილეებს სერტიფიკატებიც გადასცა. ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლოს ეროვნული ჩემპიონატის ფარგლებში 2-3 დეკემბერს ჩემპიონატის მონაწილე სტუდენტებისთვის ტრენინგები ჩატარდა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში (CIU), საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტსა (SEU) და სულხან საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში.
პრეზენტაციები	1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში წიგნის ,,საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია: ქმნადობის მისადგომებთან'' და ,,კონსტიტუციური დემოკრატიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის'' პრეზენტაცია გაიმართა. 2. კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტში, CIU-ს ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმებისა და კონკურენციის პოლიტიკის საკითხებზე პრეზენტაციები წარადგდინეს სააგენტოს - იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, სოფიო მომცელიძემ და მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, მარიამ შაიშმელაშვილმა. 3. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ზაფხულის სკოლის მოსწავლეებმა სხვადასხვა აქტუალურ კონფლიქტთან დაკავშირებით ჯგუფური პრეზენტაციები წარმოადგინეს, 4. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში „CIU აკადემია აბიტურიენტებისთვის“ - პროექტის პრეზენტაცია და „ ღია კარის დღე” გაიმართა. 5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „მომავალ თაობაში იურიდიული განათლების მიღების ხელშეწყობა სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინსტიტუციური განვითარებისთვის“ პრეზენტაცია გაიმართა.
ვიზიტები	1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით ქართულ-გერმანული საზაფხულო სკოლის მონაწილეები საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს პარლამენტსა და ქალაქ თბილისის საკრებულოს ეწვივნენ. 2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები, კრიმინალისტიკის სალექციო კურსის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ეწვივნენ.

	3. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პირველკურსელები საქართველოს უზენაეს სასამართლოს ესტუმრნენ. 4. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ ესტუმრნენ.
პროექტები	1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარდა პროექტი - „სამართლის აკადემია”. 2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით, „საზოგადოების კვლევის ცენტრის“ პროექტი ჩატარდა 3. ააიიპ ,,სამართალი თავისუფლებისთვის'' მიერ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა პროექტი ''შეჯიბრი სისხლის სამართლის იმიტირებულ პროცესებში'' 4. პროექტი - ქართულ-გერმანული საზაფხულო სკოლა სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 5. საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლებმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროექტის - „ჩვენი ჯარი“ - შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გამართეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, პროექტის - „სამართლის აკადემია აბიტურიენტებისთვის“ ფარგლებში, „იმიტირებული სასამართლო პროცესი“ გაიმართა.
საგრანტო პროექტები	1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო კონკურსი - პროექტი: „ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციის პროგრამა“ გამარჯვებული თამთა წირქვაძე.
კონფერენცია	1. CIU –ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა მე-11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. 2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრის თანაორგანიზებით სამეცნიერო კონფერენცია - „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები“ გაიმართა.კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა თემაზე: „საქართველოს პირველი რესპუბლიკის სათავეებთან - აქტუალური კონსტიტუციური განვითარების გათვალისწინებით“

<u>მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი</u>

2023 წლის განმავლობაში ფაკულტეტზე განხორციელებული აქტივობები, პროექტები, მოპოვებული გრანტები, განხორციელებული შეხვედრები და სხვა აქტივობები თავმოყრილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივობა	აღწერა
პროგრამები	განხორციელდა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური 3-წლიანი ანგარიში.

	დაკორექტირდა პროგრამის სწავლის შედეგები და ამ შედეგების შესაბამისად ცვლილებები აისახა პროგრამის შესაბამის დანართებში; განხორციელდა გარკვეული ცვლილებები სილაბუსებში შუალედური შეფასებების სტრუქტურასა და კრიტერიუმებში, შუალედური და ფინალური გამოცდების ფორმატში. განახლდა სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა, შეივსო ახალი სახელმძღვანელოებით და წყაროებით, ასევე ლექტორების მიერ მომზადებული რიდერებით. ჩატარდა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება. მომზადდა მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, გაკეთდა განაცხადი პროგრამის აკრედიტაციაზე.
წლის მთავარი სიახლეები	დასრულდა მევენახეობა-მეღვინეობის კამპუსში ფაკულტეტის დეკანატის მოწყობა, განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, დამონტაჟდა საჭირო ტექნიკა და აპარატურა. კეთილმოეწყო მევენახეობა-მეღვინეობის კამპუსის 8 ახალი აუდიტორია, აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით. რიგით მეშვიდე ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსზე „ეთნო ოკამის“ წარდგენილი სამივე ნიმუში მოხვდა საპრიზო კატეგორიაში. ჩინური + გორული მწვანე - ვერცხლის მედალი; ოკამი 2022 - ვერცხლის მედალი; რქაწითელი 2021 - ვერცხლის მედალი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეღვინეობა „ეთნო ოკამის“ პროდუქტი - „ჩინური-გორული მწვანე“ მოხვდა - „გრანიკის ქართული ღვინოების 2024 წლის გზამკვლევში“ (Granik's Guide to Georgian Wines 2024), როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ღვინო, შეფასებული დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტების მიერ. მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა და ლექტორმა - შენგელი კიკილაშვილმა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში გაიმარჯვა და უმაღლესი ქულებით დაიმსახურა პრემია - აგრარულ მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისთვის (2023). განხორციელდა საქართველოს ენოტურიზმის ასოციაციის (GETA) და ღვინის ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (GWTO) ერთობლივი პროექტი, „ღვინის ტურიზმი“ დაარსდა ფაკულტეტის სტუდენტთა მრჩეველთა საბჭო. ფაკულტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტის“ ორგანიზებით, საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმში. მიწვეულები იყვნენ, ადგილწარმოშობა “ოკამის“ დარეგისტრირებაში გაწეული საქმიანობისათვის.
მემორანდუმები	კომპანია „ჯიველი“ კომპანია „გიორგიწმინდას მარანი“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინტერნაციონალ იზაცია	• ფაკულტეტმა უმასპინძლა ნიაგარას კოლეჯის (კანადა) დელეგაციას. ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული სასერტიფიკატო კურსი „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურა“. • ფაკულტეტმა უმასპინძლა ერასმუს+ პროგრამის პერსონალის მობილობის ფარგლებში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთკვირიანი საპასუხო ვიზიტით მყოფ ლა რიოხას უნივერსიტეტის დელეგაციას. დელეგაციის წევრების იყვნენ: მიგელ ანხელ ასედო-რამირესი - პროფესორი,

	სტრატეგიული პროექტის "ევროპული უნივერსიტეტების ინიციატივა" დირექტორი, ეკონომიკისა და მეწარმეობის დეპარტამენტი; ხულია არბიზუ - აგრონომიის სამაგისტრო პროგრამის დირექტორი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტი; ელენა გონსალეზ ფანდოსი - კვების ტექნოლოგიის პროფესორი, სტრატეგიული პროექტის "ღვინის რეგიონი" დირექტორი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტი. • ფაკულტეტმა უმასპინძლა გამოჩენილი მეცნიერებს მევენახეობისა და ენოლოგიის მიმართულებით: დანიელა ფრაკასეტის და ილეანა ვიჯენტინის - მილანის უნივერსიტეტის (იტალია) პროფესორებს; ხესუს მარია კანტორალის - კადისის უნივერსიტეტის (ესპანეთი) პროფესორს, რომლებთან თანამშრომლობით აწარმოებს ერთობლივ კვლევით სამშაოებს ენდემური საფუვრების ენოლოგიური პოტენციალის გამოვლენის მიზნით. • სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობა მილანის უნივერსიტეტთან; • საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თანაორგანიზება ვალაჰიას (რუმინეთი) უნივერსიტეტთან.
საგრანტო პროექტები	პროექტის დასახელება: ახალგაზრდა მკვლევარები მევენახეობა-მეღვინეობისათვის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მობილობა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები (II ლოტი) 2023 კონკურსი პროექტის დასახელება: ვაზის Vitis vinifera L. ქართული გენოფონდის ბიომრავალფეროვნების კვლევა და კონსერვაცია. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი 2023 პროექტის დასახელება: საქართველოს მთიან რეგიონებში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ვაზისა და მისი თანმდევი კულტურების გაადგილების მოდელის შექმნა (გამარჯვებული). CIU-ს 2023 წლის ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი
სამეცნიერო აქტივობა	მუსკატური რქაწითელის მეღვინეობაში გამოყენების პერსპექტივები - ს. ქიტიაშვილი, ოლანი გოცირიძე http://vinoge.com/
	საქართველოში აღმოჩენილი ველურად მოზარდი ვაზის (Vitis vinifera L.) ფორმების ენო-კარპოლოგიური დახასიათება მ. კიკვაძე ; შ. კიკილაშვილი; ო. გოცირიძე; დ.რივერა; დ. მაღრაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“. N1(49) ISSN 1512-2743; გამომცემლობა „აგრო“, გვ. 2-16 Eno-carpological Charachterisation of Wildly Growing Grapevine (Vitis vinifera L.) Discovered in Georgia – M.Kikvadze; Sh.Kikilashvili; O.Gotsiridze; D.Rivera; D.Maghradze. GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES, Scientific Papers,) ISSN 1512-2743 N1(49), Publisher “ Agro”, Tbilisi, 2023 p.p.2-16 https://mail.google.com/mail/u/0/#search/m.kikvadze70%40gmail.com/FMfcgzGsmqztPCbhfrdcmvfwJDQQdzMW?projector=1
	Use of Muscaturi Rkatsiteli in Winemaking Saba Kitiashvili; Olani Gotsiridze, | Nov 20, 2022 https://sciendo.com/article/10.2478/agr-2022-0012
	Grape Varieties Prevalent in Kvemo Kartli IRMA MDINARADZE. Agriculture Ph.D.,Associate professor at Caucasus International University; HOMELAND OF WINE MAGAZINE, https://nlinemedia.co.uk/grape-varieties-prevalent-in-kvemo-kartli/?fbclid=IwAR0bKWtYJ4mA93seowx_qonyUy7PWqyz1PioXoPNlAHOHuT5zTaFL_RGUuQ

კონფერენცია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“. თემა-ტყის (ველური) ვაზის Vitis vinifera ssp. sylvestris Gmel შესწავლა საქართველოში. ავტორები - შ.კიკილაშვილი., ლ. მამასახლისაშვილი., ო. გოცირიძე., ნ. ბიწაძე., დ. მაღრაძე.თბილისი.საქართველო.
	XIII International Conference on Grapevine Breeding, Genetics and Management Wildly growing Eurasian grapevine (Vitis vinifera L.) in Georgia: composition, research and efforts for the preservation. M. Kikvadze , S. Kikilashvili, N. Bitsadze, T. Maghradze, G. De Lorenzis, R. O. Rubio, D.Rivera, R. Bacilieri, O. Failla, and D. Maghradze. Cappadocia, Turkey.
	N. BITSADZE., D. M. GADOURY., L. CADLEDAVIDSON., R. KHAZARADZE., SH. KIKILASHVILI., M. KIKVADZE., R. CHIPASHVILI., L. MAMASAKHLISASHVILI., L. UJMAJURIDZE., M. KEVKHISHVILI ., E. GELASHVILI ., G TCHABASHVILI ., E. KILADZE. , D. MAGHRADZE. 2023. PRELIMINARY FIELD STUDIES OF RESISTANCE OF GEORGIAN GRAPEVINE GERMPLASM TO POWDERY MILDEW (ERYSIPHE NECATOR - 22nd GiESCO International Meeting 2023
	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი“ „ღვინის დღეები 2023“-ის ფარგლებში. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე - მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი, პროფ. დ.მაღრაძე, მონაწილეები - ფაკულტეტის სამეცნიერო/აკადემიური პერსონალი.
	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის XI კონფერენციის მევენახეობა-მეღვინეობის სექციაში წარმოდგენილი იყო 7 მოხსენება სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების 8 სტუდენტის მონაწილეობით, რომელთაც ხელმძღვანელობა გაუწია 7-მა ხელმძღვანელმა.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

აქტივობა	აღწერა
პროგრამები	1. ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ მოიპოვა აკრედიტაცია. 2. დაიწყო მუშაობა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო 3-წლიან პროგრამაზე. 3. დაიწყო მუშაობა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
მატერიალურ ტექნიკური ბაზები	1. 2023 წლის 19 მაისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე გაიხსნა იმიტირებული ბანკი. ბანკი სრულადაა აღჭურვილი ყველა აუცილებელი ტექნიკით, რომელიც შესაბამისი სერვისისთვისაა აუცილებელი, მათ შორისაა - იმიტირებული სალარო და ოპერატორის განსათავსებელი სივრცე. 2. 2023 წლის 19 მაისს გაიხსნა სტუდენტთა საპროექტო სივრცე. საპროექტო სივრცე თანამედროვე დიზაინის ავეჯითა და ტექნიკით აღიჭურვა.

მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ინიციატივები/პროექტები /ღონისძიებები	1. კარიერული ქოუჩინგისა და მენტორინგის პროგრამა https://rb.gy/i60huf, https://rb.gy/xw8bt5, http://surl.li/sggyi); 2. სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით, ხორციელდება ბიზნესინკუბატორის პროექტი - https://rb.gy/4b7ik, https://rb.gy/mgu61); 3. ჩატარდა „გლობალური მეწარმეობის კვირეული“ (Global Entrepreneurship Week 2023 / GEW) – http://surl.li/sgliq 4. ვორქშოპი :Increasing Creativity Capacity - „შემოქმედებითი აზროვნება - მე ამისგან გავაკეთებ “; 5. ვორქშოპი: Pitch Competition / Startup Challenge - ინკუბატორში შემოსული იდეების პრეზენტირება; 6. Pitch Competition / Startup Challenge - ინკუბატორში შემოსული იდეების პრეზენტირება; 7. Startup Culture in the Classroom / გამოფენა 8. ვორქშოპი - „როგორ და რითი დავიწყოთ სტარტაპზე მუშაობა“ 9. ეფექტური ფიჩი - ტრენინგი GEW 2023-ის ფარგლებში (http://surl.li/sghae); 10. „გლობალური მეწარმეობის კვირეულის“ დასკვნითი ღონისძიება CIU-ში (http://surl.li/sghat); 11. სტარტაპ MIVINO-ს თანადამფუძნებელის, CMO & CO-FOUNDER | LOOPER - CREATIVEADVERTISING AGENCY - ერეკლე ერისთავის ტრენინგი თემაზე - „ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობა სტარტაპებისთვის (http://surl.li/sghbc); 12. CIU-ს ბიზნეს ინკუბატორში შემოდგომის სემესტრის ახალი ნაკადი (http://surl.li/sghcb); 13. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვის, „ბიზნეს ინკუბატორის“ ღია კარის დღე CIU-ში (http://surl.li/sghck); 14. "ბიზნესის და მეწარმეობის კლინიკა“ (http://surl.li/sghcs); 15. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტს ჩანდიგარის უნივერსიტეტის (ინდოეთი) ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორის სანდიფ გულერიას სტუმრობა https://rb.gy/esfzj; 16. კრედო ბანკის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა - http://surl.li/sghdc; 17. პროექტი "ბიზნესკვლევები მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად" პრეზენტაცია -(http://surl.li/sghdm); 18. CIU-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ღია კარის დღე (http://surl.li/sghdp); 19. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, ტურიზმის კვირეულის ფარგლებში, საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე: „ტურიზმის სექტორის განვითარება საქართველოში. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხედვა და სამომავლო გეგმები“- http://surl.li/sghdy 20. სასტუმრო Paragraph Tbilisi-ის გენერალურ მენეჯერის, ტომას ვან ოპსტალის, HR დეპარატმენტის ხელმძღვანელის, ლიელა ახმეტელაშვილსა და ტრენინგ მენეჯერის, შორენა ბერეჟიანის ვიზიტი http://surl.li/sghei; 21. CIU-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტმა სტუდენტური პროექტი - ბიზნეს კვლევები მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად“ დაიწყო - http://surl.li/sghdm;

	22. ფინანსების კვირეული - (https://rb.gy/9oyhj, https://rb.gy/74rfi); 23. შეხვედრა დოქტორანტებთან - (https://rb.gy/5ytzz); 24. შეხვედრა წარმატებულ კურსდამთავრებულებთან. (https://rb.gy/tlgm6); 25. შეხვედრა აბიტურიენტებთან -(https://rb.gy/qkmf0); 26. შეხვედრა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებთან. (https://rb.gy/zz552); 27. შეხვედრა "ამბასადორების" და "მრჩეველთა საბჭოს" წარმომადგენლებთან http://surl.li/sgiay , http://surl.li/sgiby; 28. იმიტირებული ბანკის გახსნა CIU-ში https://rb.gy/9eqfp; 29. მასტერკლასი - „როგორ ვივაჭროთ Amazon.com -ზე" https://rb.gy/a4f19; 30. მასტერკლასი თემაზე: ,,როგორ დავიწყოთ კარიერა სადაზღვევო სექტორში" https://rb.gy/x6ar4; 31. იდეების კონკურსს მარკეტინგში. https://rb.gy/xsjdv; 32. პროფესიული გასვლითი სემინარი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში https://rb.gy/amhqk; 33. საჯარო ლექცია: ,,კლიმატის ცვლილება და ფინანსური სექტორი" https://rb.gy/r4tdu; 34. „ჰარმონია საკუთარ თავთან" პრეზენტაცია და მასტერკლასი თემაზე: ,,ემოციური ინტელექტი'' https://rb.gy/79kf4; 35. ,,სურსათის დანაკარგები და ნარჩენები, პრობლემის მნიშვნელობა და გამოწვევები" - სპიკერი: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO-ს პოლიტიკის მრჩეველი, ჯუმბერ მარუაშვილი. http://surl.li/sgicr; 36. შეხვედრა თემაზე - „კვლევის მეთოდოლოგია" / „მონაცემთა ანალიზი" - სპიკერი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგული კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, თათია ბრეგვაძე - http://surl.li/sgicr; 37. „დისტრიბუციის როლი მიწოდების ჯაჭვში, პრობლემები და გამოწვევები" - სპიკერი: საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის ხელმძღვანელი, ივა ჭყონია - http://surl.li/sgicr; 38. ტრენინგი თემებზე: რა გვჭირდება კარიერის ეფექტურად დასაგეგმად და კარიერული მენტორშიფის პროგრამა https://rb.gy/1vpbr; 39. ტრენინგი: ,,მოლაპარაკებები და ფასწარმოქმნის გავლენა ბიზნეს შედეგებზე" https://rb.gy/c957vt 40. პანელური დისკუსია თემაზე - „ქალი ლიდერები ფინტექში" https://rb.gy/yasvum; 41. „ენოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და ესპანური გამოცდილება". შეხვედრას უძღვებოდა ალკალას უნივერსიტეტის (ესპანეთი) ეკონომიკისა და ბიზნესის დოქტორი, ბიზნესის მართვის ექსპერტი, პროფესორი ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით, საქართველოს ენოტურიზმის ასოციაციის საპატიო წევრი, მიგელ კამბა https://rb.gy/3tuudb; 42. ტურიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება https://shorturl.at/hmrKY; პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა თემაზე: „უნარები დასაქმებისთვის" http://surl.li/sgljg ;

	43. მოწვეული სტუმარი არჩილ მჭედლიშვილი , ლექცია - ოპერაციული მენეჯმენტი http://surl.li/sgign; 44. შეხვედრა ბანკირთა პროფესიულ დღესთან დაკავშირებით http://surl.li/sgiha; 45. ეროვნული ბანკის პროექტებში ფაკულტეტის ჩართულობა: „მოიწვიე ფინედუ კლასში“ http://surl.li/sgihn 45.“მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების კვირეული” “მწვანე ეკონომიკა” http://surl.li/sgihu; 46. საჯარო ლექციები და დებატები “მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების კვირეულის” ფარგლებში - http://surl.li/sgiih, http://surl.li/sgiiu, http://surl.li/sgihu 47. „მწვანე მეწარმეობა და ვორქშოპი სტუდენტებისთვის“ http://surl.li/sgijn; 48. „ნიკოლ სერვისის“ მთავარი ბუღალტერი, „კამარას“, „თენოს“ და „ტექდიზაინის“ ბუღალტერი, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაცია Civil Forum-ის პროექტების საფინანსო მენეჯერის ცირა მენთეშაშვილის ლექცია თემაზე: „პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება კომპანიებში და შემოსავლების სამსახურთან მუშაობის შესაძლებლობები“ http://surl.li/sgijv 49. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის მოადგილის, თორნიკე ზირაქიშვილის საჯარო ლექცია https://bit.ly/3Tj5Qx3; 50. საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე: „როგორ შევარჩიოთ პირველი სამსახური?“http://surl.li/sgikf 51. რატი ზაუტაშვილის საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე: „მდგრადი განვითარება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა SDG-ების განხორციელების პროცესში“ http://surl.li/sgikl 52. კომპანია „Ally-ის“ თანადამფუძნებელმა და კომპანია „ლივინგსტონის“ დირექტორმა ერეკლე ზურმუხტაშვილმა და კომპანია „Ally-ის“ თანადამფუძნებელმა, „Axel-ის“ (საინვესტიციო ფონდი) მმართველმა პარტნიორმა თორნიკე აბულაძეს შეხვედრა სტუდენტებთან http://surl.li/sgikw; 53. მემორანდუმი „ფინტექ ასოციაციასთან“ და პროექტის პრეზენტაცია http://surl.li/sgilb; 54. მარკეტინგის სპეციალისტის თამაზ გოჩელიშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „ქვეცნობიერის გამოვლენა: როგორ მოქმედებს მარკეტინგული კამპანიები მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღებაზე“; http://surl.li/sgilk; 55. პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე ზრუნვის მიზნით, ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის გაიმართა პრაქტიკული სემინარი „მობილური აპლიკაციები თანამედროვე ციფრულ სამყაროში“ http://surl.li/sgilu; 56. კლარენს ვან დერ პუტის (Clarence Van Der Putte) Amsterdam University of Applied Science პროფესორის ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის -თემაზე: „High Impact Learning’ - a conceptual educational approach“. http://surl.li/sgimi 57. ლა რიოხას უნივერსიტეტის (ესპანეთი) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენლების, ატალია მედრანო საეზი და ალბა გარსია მილონის ვორქშოპი აკადემიური და სამეცნიერო

	პერსონალისთვის თემაზე - „თანამედროვე სწავლებისა და კვლევის მეთოდები ბიზნესისა და ეკონომიკის დარგში" http://surl.li/sgimq; 58. ტრენინგი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის თემაზე: „წარმატებული კვლევითი საგრანტო აპლიკაციის მომზადება და წარდგენა". https://bit.ly/3TBPiBV; 59. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის პროფესიული ტური კომპანია „ჩელთიში" http://surl.li/sginc;
მემორანდუმები	1. გაფორმდა მემორანდუმი მემორანდუმი ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტსა და რითეილ ასოციაციას შორის https://rb.gy/dobq8; 2. გაფორმდა მემორანდუმი ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტსა და Smeda • მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა https://shorturl.at/ahvy1; 3. გაფორმდა მემორანდუმი მემორანდუმი ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტსა და ,,OPERATION GLOBAL ALLY'' შორის; 4. გაფორმდა მემორანდუმი მემორანდუმი ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტსა და ფინტექ ასოციაციას შორის; 5. გაფორმდა მემორანდუმი მემორანდუმი ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტსა და E-commerce ასოციაციას შორის; 6. გაფორმდა მემორანდუმი მემორანდუმი ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტსა და იშბანკ-ს შორის; 7. გაფორმდა მემორანდუმი შპს - „ვოლი"-თან. მემორანდუმების ელექტრონული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია ბმულზე: https://bit.ly/3TDLLle
საგრანტო პროექტები	1. პროექტის სახელწოდება: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ინოვაციების და მეწარმეობის შესახებ პროექტის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მარია კლდიაშვილი წამყვანი ორგანიზაცია: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი პროექტის განხორციელების თარიღები: 25.08.2023-20.06.2024 ღონისძიების ჩატარების თარიღები: 09.02.2024-11.02.2024 ღონისძიების ტიპი: კონფერენცია საგრანტო ხელშეკრულება № MG-ISE-23-2530 პროექტი დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი კი არის ღონისძიების მასპინძელი, პროექტის წამყვანი და თანადამფინანსებელი ორგანიზაცია. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული მაღალი რანგის სამეცნიერო ღონისძიების მიზანია, ხელი შეუწყოს ინოვაციების და მეწარმეობის შესახებ უახლესი სამეცნიერო კვლევების

	განვითარებას და ინტერნაციონალიზაციას საქართველოში, ასევე, აკადემიურ, საჯარო და ბიზნესსექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და მის პოპულარიზაციას ახალგაზრდა მეცნიერთა შორის. 2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი ჩაერთო პროექტში, სახელწოდებით Consulting Services for Promoting Internationalization of Higher Education, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო "საქართველო – ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი". პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. CIU-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბაზაზე, პროექტის საერთაშორისო ექსპერტებთან, University College London Consultants-ის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, შემუშავდება "ბიზნეს ინგლისურის" და "მეწარმეობის" ე.წ. Benchmark მოდულები, რომლებსაც პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოს სხვა უსდ-ებს შესთავაზებენ, როგორც გზამკვლევი აღნიშნული მოდულების დანერგვისას (http://surl.li/sggwn). 3. საქართველოსგან წარდგენილი პროექტი „ჰორიზონტი-ევროპის“ მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტის TIER2-ის ღია კონკურსის გამარჯვებულია „ჰორიზონტი-ევროპის“ გაფართოების მონაწილე 15 ევროპულ და 14 ასოცირებულ ქვეყანას შორის. კონსორციუმის შემადგენლობაში შედიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი (თსუ) და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (CIU). კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან პროექტის ხელმძღვანელია სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი შორენა ქურდაძე (http://surl.li/sglfo). 4. CIU-ს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების საგრანტო კონკურსში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გამარჯვებული პროექტი - „გასტრონომიული ბიზნესის მარკეტინგის თავისებურებები პოსტპანდემიურ პერიოდში, მისი ციფრული ტრანასფორმაცია, გამოწვევები და შესაძლებლობები“(http://surl.li/sgleu). 5. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2023 წლის ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი: „ფორმალური ინსტიტუციური ცვლადების კავშირი სამეწარმეო ორიენტაციის დეტერმინანტებთან მცირე და საშუალო საწარმოების მაგალითზე: ფაქტორების კონტექსტუალიზაცია ქვეყნის და ორგანიზაციის მახასიათებლების გათვალისწინებით საერთაშორისო შესვლის დროს“. პროექტის ხელმძღვანელია CIU-ს ასოცირებული პროფესორი, შორენა ქურდაძე (http://surl.li/sglfw).
პროექტები	1. ფაკულტეტმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო პროგრამაში, კერძოდ "გლობალური მეწარმეობის კვირეულის" (Global Entrepreneurship Week 2023 / GEW) ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს უმასპინძლა. GEW საერთაშორისო კამპანიაა, რომელიც მიზნად ისახავს ანტრეპრენერთა ეკოსისტემის ხელშეწყობასა და წახალისებას. კვირეულის ფარგლებში, ყოველწლიურად, 2008

	წლიდან მოყოლებული დღემდე, 200-მდე ქვეყანა იღებს მონაწილეობას. აღნიშნულ ღონისძიებაზე საქართველოს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარადგენდა. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგი, საჯარო ლექციები, დახურვის ღონისძიებაზე კი გაიმართა ფაკულტეტის პარტნიორ მეწარმეთა გამოფენა-გაყიდვა, წარმატებული ქეისების გაზიარება სტუდენტებთან, პანელური დისკუსია და დარგის მიმდინარე საჭიროებების განხილვა (http://surl.li/sglko); 2. განხორციელდა კვლევითი პროექტი "ბიზნესკვლევები მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად". პროექტში მონაწილეობდნენ როგორც ფაკულტეტის სტუდენტები, ასევე სკოლის მოსწავლეები. მონაწილეებს მენტორობას უწევდნენ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის – FAO – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია SMEDA-ს და საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაციის წარმომადგენლები (http://surl.li/sginr, http://surl.li/sgiod, http://surl.li/sgion). 3. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (CIU) მონაწილეობს უპრეცედენტო საერთაშორისო პროექტში: "Qualification Requirements for University Graduates in Health Tourism", პროექტი დაფინანსებულია გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD–German Academic Exchange Service) მიერ და მას ხელმძღვანელობს გერმანიის დეგენდორფის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (TID -Deggendorf Institute of Technology, Germany) (http://surl.li/sgipf). 4. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) პროექტის - „Internationalization of International Health Tourism" ფარგლებში, გერმანიის დეგენდორფის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (TID-Deggendorf Institute of Technology) და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს-ის (CIU) ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასთან ერთად ხორციელდება ერთობლივი კვლევითი პროექტი- საქართველოს სამედიცინო ველნეს და სპა ტურიზმის მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობის დასადგენად (http://surl.li/sgipt).

მედიცინის ფაკულტეტი

ფაკულტეტზე განხორციელებული აქტივობები, პროექტები, გრანტები, შეხვედრები და სხვა

- 2023 წლის გაზაფხულზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და კასტილა-ლა მანჩას ჯანდაცვის სამსახურს (The Health Service of Castilla-La Mancha) შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება მიეცათ კასტილა-ლა-მანჩას რეგიონის წამყვან კლინიკებში ერთთვიანი პრაქტიკა გაევლოთ. პროექტში ჩართული იყო ორი კლინიკა - Hospital Comarcal de Alcazar de San Juan და Hospital General Nuestra Señora Del Prado. ორთთვიან გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს მაღალი აკადემიური მოსწრების 11-მა სტუდეტმა
- Erasmus+ პროგრამის ფარგლებში 2023 წლის 19 ივნისიდან 30 ივნისამდე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის პროგრამის 2 სტუდენტმა გაიარა ინტენსიური კურსი პარტნიორ ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკაში. კურსის

საწყისი ეტაპისთვის ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტში, სიმულაციურ ცენტრში სტუდენტებმა სპეციალური პროგრამის დახმარებით პაციენტი უშუალოდ გამოიკვლიეს, გაეცნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული ლექტორების თანამედროვე სიახლეებს სტომატოლოგიის სფეროში. მათ შორის იყვნენ იტალიის კალიარის უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტის წამყვანი ლექტორი ანდრეა პერა (ლექცია- გენეტიკური ძვრები და მისი კავშირი სტომატოლოგიასთან) , რომის საპიენზას უნივერსიტეტიდან ლექტორი ექიმი პაულო ჯუნიორ ფანტოზი (ლექცია-,,პირის ღრუს მიკროფლორის როლი სისტემური დაავადებების პათოგენეზში"), სიახლე იყო სტუდენტებისთვის ბულგარეთის პლოდვივის სამედიცინო უნივერსიტეტის ლექტორის თეოდორა კარტევას მიერ წაყვანილი მინი კურსი ხელოვნური ინტელექტის სტომატოლოგიაში გამოყენების შესახებ

- Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, მედიცინის ფაკულტეტის მე-3 კურსის 1 სტუდენტი - იმყოფებოდა პოლონეთში, ჯოზეფ გალუჩოვსკის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში (Jozef Galuchowski University of Applied Sciences

ფაკულტეტის პროგრამები

ფაკულტეტზე ხორციელდება 4 **ერთსაფეხურიანი პროგრამა** :

- მედიცინის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები;
- სტომატოლოგიის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები;
- 1 საბაკალავრო პროგრამა: ფარმაციაში
- 1 რეზიდენტურის პროგრამა თერაპიულ სტომატოლოგიაში;

2023 წლის განმავლობაში, ფაკულტეტის ყველა პროგრამა მოდიფიცირდა და შესაბამისობაში მოვიდა მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან და ეროვნული კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან. მოდიფიცირდა და განახლდა სასწავლო ლიტერატურა სტომატოლოგიის და ფარმაციის მიმართულების პროგრამებზეც.

სასწავლო პროცესის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა:

- ✓ პირველიდან მეოთხე სემესტრის სახელმძღვანელოების განახლება - თარგმნა;
- ✓ ბაზისური საგნების სასწავლო მასალების კლინიკური კორელაციებით გამდიდრება;
- ✓ ქეისების და MCQ ტესტების გარჩევა;
- ✓ სოციალური ქსელების გამოყენება სტუდენტების დამატებითი აქტივობებისთვის და შეფასებისთვის;
- ✓ შეფასების ახალი ფორმების ინტეგრაცია სასწავლო კურსებში (პორტფოლიო , პროფესიონალიზმი და მინი- კლინიკური გამოცდა.) მიმდინარე სემესტრში საპილოტედ შეფასდა პროფესიონალიზმი საგნებში: სამედიცინო ბიოეთიკა, ზოგადი ქირურგია, მოდული: გულ-სისხლძარღვთა და სისხლის სისტემის დაავადებათა საფუძვლები“. აღნიშნული საგნებისათვის შემუშავდა და გაიწერა პროფესიონალიზმის შესაფასებელი კრიტერიუმები - როგორც ზოგადი, ასევე საგნის შესაბამისი პროფესიული უნარები.
- ✓ მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან შესაბამისობისთვის გაიზარდა ინგლისურენოვან პროგრამაში ქართული ენის სწავლების კრედიტები - გახდა 12 კრედიტი (6 პირველი სემესტრი, 6 მეორე სემესტრი).
- ✓ მედიცინის ინგლისურენოვანი (2018 წლის) პროგრამა სრულად ადაპტირდა GMC (General Medical Council UK) მინიმალურ 5500 საათობრივ დატვირთვის მოთხოვნასთან და პროგრამის საათებმა შეადგინა 5777 საათი.
- ✓ სტომატოლოგიის უამღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ყველა სილაბუსში და ასევე პროგრამაში გადაიხედა კურსის მიზნები, ამოცანები და შედეგები, მოხდა სილაბუსების გადაყვანა 6 კომპეტენციიდან სამ კომპეტენციაზე.

ფაკულტეტის მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები

- მედიცინის ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ტელემედიცინის ცენტრის მიერ იქნა ინიცირებული ტელემედიცინის სასწავლო არჩევითი კურსი -**„ინტერპროფესიონალური ტელემედიცინა“კურსის** დანერგვა, დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის პროგრამის მიზნებისთვის. კლინიკური ინფორმატიკა (ტელემედიცინა), რომელიც ფართოდ არის ინტეგრირებული კლინიკურ დისციპლინებს შორის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, წარმოადგენს სამედიცინო მეცნიერების ინტერდისციპლინურ სფეროს, რომელიც მოიაზრებს ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ და თეორიულ გამოყენებას. ტელემედიცინა თავის ძირითად სფეროში გადამწყვეტ როლს თამაშობს და ახორციელებს ყველა სახის სამედიცინო ინფორმაციის გადაცემას, ტელეკომუნიკაციური და კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით.
- უწყვეტი პროფესიული განვითარების ფარგლებში ფაკულტეტის ორგანიზებით შეიქმნა გადამზადების პროგრამა - „ბაზისური გულ-ფილტვის რენიმაცია“, რომელიც განსაზღვრულია ლიცენზირებული ექიმებისთვის.
- სამეცნიერო აქტივოებისთვის შეიქმნა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, რომლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები. მათ მიერ ორგანიზდება გარკვეული აქტივობები და ღონისძიებები, რომლებიც მოკლედ მიმოხილულია ქვემოთ:

1. 2023 წლის 27 იანვარს ნიკო ნიკოლაძის საკონფერენციო დარბაზში CIU-ს „მედიცინის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების“ პრეზენტაცია და ფილმის - „შეშლილთა კუნძული“ ჩვენება.
   მოწვეული სპეციალისტი - ფსიქოლოგი, ნეიროფიდბექის თერაპევტი, CIU-ს ლექტორი, ანანო ბუბუტეიშვილი.

2. 2023 წლის 8 მაისს, CIU მედიცინის ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბებული სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრებსა დასტუდენტებს შორის ოფიციალური გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

3. 13 მაისს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, CIU მედიცინის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზებით, ბიძინა კულუმბეგოვისა და ცოტნე სამადაშვილის ერთობლივი საჯარო ლექცია გაიმართა თემებზე: „ალერგია, როგორც 21-ე საუკუნის დაავადება" და ,,ანაფილაქსიური შოკი - ალერგიული რეაქციის მძიმე შედეგი".

4. 23 მაისს, საქართველოს დროით 18:00 საათზე, CIU მედიცინის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით, CIU მედიცინის ფაკულტეტის მხარდაჭერითა და ამავე უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორის ეკატერინე ძამელაშვილის ორგანიზებით Google meet-ის ონლაინ პლატფორმაზე ჩატარდა საჯარო ლექცია თემებზე - "თავ-კისრის კიბო: ეტიო-პათოგენეზი და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები", "ოტოლარინგოლოგია, თავისა და კისრის ქირურგია".
მოწვეული სპიკერები: დებრეცენის უნივერსიტეტის (უნგრეთი) ასისტენტ პროფესორი - ევა სზეკანეცი MD, PhD
დებრეცენის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ოტოლარინგოლოგიის, თავისა და კისრის ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი - თამას ჯოზეფ ბატტა MD, PhD



5. 2023 წლის 20 მაისს, CIU მედიცინის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით საინფორმაციო ტიპის შეხვედრა გაიმართა, სადაც გასულ წელს კასტილა ლა-მანჩას კლინიკებში

გაცვლითი პროგრამაში მონაწილე MSSS-ის 4 წევრმა გამოცდილება გაუზიარეს სტუდენტებს, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩატარდა.

6. 27 მაისს, CIU მედიცინის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა ქართულენოვანი ვორქშოპი, სახელწოდებით: “არტერიული სისხლის აირების (ABG) შედეგების ინტერპრეტაცია”

მოწვეული სპიკერი: ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი ხატია ბერიძე

7.CIU-ს მედიცინის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება უერთდება 14 ივნისს დაწესებულ სისხლის დონორის საერთაშორისო დღეს. გაიმართა ვორქშოპი სახელწოდებით: “პრეანალიტიკა და მისი ლაბორატორიული დიზაინი“

ვორქშოფს წარუძღვნენ: ლელა ფანცულაია - მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ლექტორი

მაკა გაბიძაშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის უნარ-ჩვევების ცენტრის სპეციალისტი

8. 2023 წლის 15 ივნისს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში გაიმართა კამპანია - “გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“. აქცია ნაციონალური სისხლის ბანკის მეშვეობით ჩატარდა, კამპანიაში კი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა.

9. 2023 წლის გაზაფხულზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და კასტილა-ლა მანჩას ჯანდაცვის სამსახურს (The Health Service of Castilla-La Mancha) შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების ფარგლებში CIU-ს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება მიეცათ კასტილა-ლა-მანჩას რეგიონის წამყვან კლინიკებში ერთთვიანი პრაქტიკა გაევლოთ. პროექტში ჩართული იყო ორი კლინიკა - Hospital Comarcal de Alcazar de San Juan და Hospital General Nuestra Señora Del Prado. ორთვიან გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებმა:

სტუდენტები ორი ნაკადით გაემგზავრნენ:

1. ივლისი - ნინო სირაძე, ნინო ბეჟანიძე, ანი კვარაცხელია, ნოდარ ხუბიედოვი, ანი ზენაიშვილი, ნუცა მახარაშვილი,
2. აგვისტო - თამარა ანთია, მარიამ კუპრეიშვილი, ნინო კათამაძე, მარიამ ციცაგი, სალომე მგელიაშვილი

10. სალომე წულეისკირი - მედიცინის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი - Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა - Jozef Galuchowski University of Applied Sciences (პოლონეთი)

11. 1 დეკემბერი შიდსის პრევენციის საერთაშორისო დღე
სპიკერი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი ლიკა გუბელაძე

12. 2023 წლის 8 დეკემბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, შიდსის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ინფექციონისტის, მედიცინის დოქტორის, პროფესორ ფატი გაბუნიას საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე: აივ/შიდსის მიღწევები და გამოწვევები.

13. 2023 წლის 11-დან 18 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა ჯანმრთელობის კვირეული, რომლის თემას წარმოადგენდა "დამოკიდებულება". ღონისძიებების თანმიმდევრობა ორშაბათს გახსნითი ცერემონიით დაიწყო .

14. მარიამ შულაია - მედიცინის ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტი, 5-6 სექტემბერს, უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით დაესწრო STARMUS VI ფესტივალს, უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით, სომხეთში ქალაქ ერევანში.

15. მარიამ შულაია - მედიცინის ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტი, 9-15 ოქტომბერი, დაესწრო DEGENDORF UNIVERSITY-ის და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში WINTER SCHOOL-ს



16. პოლონერი ბიოლოგისა და პარაზიტოლოგის MARIA WESOLOWSKA-ს ვორკშოპი პარაზიტოლოგიის შესახებ (როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კურსი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

17. მარიამ შულაიამ - მედიცინის ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტმა, 21 იანვარს უნივერსიტეტის ხელშეწყობით (მულაჟისა და სხვა საჭირო ინვენტარის უზრუნველყოფა) ჩაატარა ვორკშოპი "CERVICAL CANCER – PAP TEST", რომელიც ორგანიზებული იყო სამედიცინო განათლებისა და კვლევის გლობალური კონსორციუმის მიერ („GLOBAL CONSORTIUM OF MEDICAL EDUCATION AND RESEARCH").

თანამშრომლობის განვითარება კლინიკებთან

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს, კორპორაციას - 'ევექსის კლინიკები" და „ღუდუშაურის სახელობის კლინიკას" შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობისა და აფილირების

ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მოხდება კლინიკების რესურსის სრულყოფილად ათვისება და კლინიკური სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

დღეისათვის მედიცინის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული კლინიკური და პრაქტიკული სწავლების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი **52** მრავალპროფილურ კლინიკასთან და სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებასთან აქვს გაფორმებული.